პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

№ 62 (4218) | ხუთშაბათი, 14 მარტი 1935 წ.

კოლმეურნეობათა განმტკიცების გასაღები

„პრავდის“ მოწინავე 13.III

ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ ძალიან მარტივად გაიგო თავისი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდებიდან. ისინი დაკმაყოფილდნენ დამკვრელ კოლმეურნეთა ადგილობრივ შეკრებების მოწვევით.

ამ შეკრებებზე უხვად იყო ტაში. მაგრამ, მიესალმნენ რა ახალ წესდებას ადა ყრილობის დელეგატებს, მათ გადაწყვიტეს, რომ უკვე ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ.

არა ეს ასე არ გამოვა. საჭიროა ყველა პრაქტიკული დასკვნის გამოყვანა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობიდან. პირველ ყოვლისა საჭიროა ყველა სასოფლო სამეურნეო არტელში სანიმუშო წესდების საფუძველზე მიღებულ იქნეს საბოლოო წესდება. მაგრამ თვითეულ არტელში საბოლოო წესდების მიღებითაც საქმე არ თავდება. საჭიროა იმის მიღწევა, რომ არტელის მუშაობა აგებულ იქნეს ახალი წესდების საფუძველზე. მუშაობა როდი ამოიწურება ერთი და ორი დღით. სინამდვილეში კი ზოგიერთ რაიონში 1-2 დღით ივარაუდეს მთელი „კამპანია“. ჩვენ უკვე ვწერდით, თუ როგორ სცადა პარტიის პრიკუმსის რაიონულმა კომიტეტმა (ჩრდილო - კავკასიის მხარე) 24 საათში დაემთავრებინა ახალი წესდების განხილვა და დამტკიცება და რა გამოვიდა აქედან. სამწუხაროდ, პრიკუმსის რაიონი გამონაკლისი არ არის. ახალი წესდების მიმართ იმავე ფორმალური და ბიუროკრატიული დამოკიდებულების გზით წავიდნენ კუიბიშევის მხარის კუზნეცკის და ნოვოდევიჩინსკის რაიონებში, სარატოვის მხარის, ბალაშოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოქტიაბრში“ საბოლოო წესდების თვალის ახამხამებაში მიღების შემდეგ თვით დამკვრელებმაც კი ვერაფრის თქმა ვერ შეძლეს მისი შინაარსის შესახებ, რადგან არ იცნობდნენ მას. ვისთვის არის საჭირო ან ვის ინტერესს შეადგენს წესდების ასეთი განხილვა? არავინ არ მოითხოვს ახალი წესდების განხილვის გაჭიანურებას. მაგრამ მტკიცედ უნდა შევიგნოთ, რომ საბოლოო წესდების მიღება არის პირველი ნაბიჯი მისი აუცილებლივ და წესიერად შესრულებისაკენ. კოლმეურნეთა მასები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ახალი წესდებისადმი. დანაშაული იქნებოდა ამ ინტერესის ჩაქრობა. ამას, თუ რა გულდასმით და ყურადღებით უდგებიან კოლმეურნეები წესდების თვითეულ მუხლს, თვითეულ სიტყვას, სხვათაშორის, მოწმობს კალინინის ოლქის, ახალ-ტორჟსკის რაიონის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობიდან მიღებული ცნობები, რომლებიც „პრავდაში“ იბეჭდება. რასაკვირველია, წესდება არ არის ინსტრუქცია საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის. წესდება არის ძირითადი კანონი, რომელიც სახავს მთავარ ხაზს კოლმეურნეობის განვითარებისა კულტურული, შეძლებული ცხოვრებისაკენ. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ კოლმეურნეები ცდილობენ თავიანთ საბოლოო წესდებაში ჩასწერონ თავისი მეურნეობის ის ამოცანები, რომლებიც მას გადააქცევენ მართლაც კულტურულ, მოწინავე მეურნეობად. ახალი წესდების განხილვამ და დამტკიცებამ, მისმა უსიტყვოთ შესრულებამ გამოიწვიოს კოლმეურნეობებში ახალი შრომითი ენტუზიაზმის ტალღა, აამაღლოს თვითეული კოლმეურნის აქტივობა და სამეურნეო ინიციატივა. მთავარი ახლა იმაში მდგომარეობს, რათა ჩამორჩენილი კოლმეურნეობები აამაღლოთ მოწინავეთა დონემდე. სანიმუშო წესდება ამ ამოცანას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. იგი კოლმეურნეთა პირად ინტერესებს აერთებს მათ საზოგადოებრივ ინტერესებთან. ამხანაგმა **სტალინმა** ყრილობის კომისიაზე თქვა:

„თუ თქვენ გინდათ არტელის განმტკიცება, თუ თქვენ გინდათ გქონდეთ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელმაც უნდა მოიცვას მილიონობით კომლები და არა ერთეულები და ასეულები, თუ თქვენ გინდათ ამის მიღწევა, — თქვენ ახლანდელ პირობებში კოლმეურნეთა საერთო ინტერესებს გარდა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ მათი პირადი ინტერესები“.

და როცა მოწინავე კოლმეურნეობათა წარმომადგენლები, რომლებიც უკვე არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ყველა კოლმეურნეები, ყველანი და არა მარტო მოწინავენი, მოითხოვდნენ კოლმეურნის პირადი ინტერესების შევიწროებას. ამხანაგმა **სტალინმა** გაუსწორა მათ. მან თქვა:

„თქვენ ოდნავადაც არ ითვალისწინებთ კოლმეურნეთა პირად ინტერესებს, როცა ლაპარაკობთ, რომ კოლმეურნეს საკარმიდამო მიწად არ მიეცეს ჰექტარის ერთ მეათედ ნაწილზე მეტი. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ არ შეიძლება ძროხის მიცემა, ზოგიერთები კი ფიქრობენ, რომ დედალორის მიცემა არ შეიძლება, და საერთოდ თქვენ გინდათ შეავიწროვოთ კოლმეურნე. ეს საქმე არ გამოვა. ეს არ არის სწორი“.

„თქვენ მოწინავე ხალხი ხართ. მესმის, რომ თქვენ დიდად ზრუნავთ საკოლმეურნეო წყობილებაზე, საკოლმეურნეო მეურნეობაზე, მაგრამ განა ყველა კოლმეურნე ისეთია, როგორიც თქვენ ხართ? თქვენ ხომ უმცირესობა ხართ კოლმეურნეობებში. უმრავლესობა ცოტათი სხვანაირად ფიქრობს, ამას უნდა გავუწიოთ თუ არა ანგარიში? მე ვფიქრობ, რომ უნდა გავუწიოთ“.

„თუ თქვენ არტელში ჯერ კიდევ არ გაქვთ პროდუქტების სიუხვე და თქვენ არ შეგიძლიათ. მისცეთ ცალკეულ კოლმეურნეებს, მათ ოჯახებს, ყველაფერი, რაც მათთვის საჭიროა, კოლმეურნეობას არ შეუძლია იკისროს მათი როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი საჭიროებების დაკმაყოფილება, მაშინ უმჯობესია პირდაპირ ითქვას, რომ მუშაობის ესა და ეს დარგი არის საზოგადოებრივი, ხოლო ესა და ეს დარგი კი — პირადი. უმჯობესია დავუშვათ პირდაპირ აშკარად და კეთილსინდისიერად, რომ საკოლმეურნეო კომლს უნდა ჰქონდეს თავისი პირადი მეურნეობა მცირე, მაგრამ პირადი.

უმჯობესია გამოვიდეთ იქიდან, რომ არის არტელური მეურნეობა, საზოგადოებრივი, დიდი, მსხვილი და გადამწყვეტი, აუცილებელი საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და მასთან ერთად არის მცირე პირადი მეურნეობა, აუცილებელი კოლმეურნის პირად საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად რაკი არსებობს ოჯახი, ბავშვები, პირადი მოთხოვნილებანი და პირადი გემოვნება, არ შეიძლება ამას არ გავუწიოთ ანგარიში. და თქვენ არ გაქვთ უფლება არ გაუწიოთ ანგარიში კოლმეურნეთა პირად საყოფაცხოვრებო ინტერესებს. უამისოდ შეუძლებელია კოლმეურნეობათა განმტკიცება. კოლმეურნეთა პირადი ინტერესების შეთავსება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ინტერესებთან —აი, სად არის კოლმეურნეობათა განმტკიცების გასაღები“.

ასე ასწავლიდა ამხანაგი **სტალინი** მოწინავე კოლმეურნეებს საკოლმეურნეო მასების ხელმძღვანელობას, კიდევ უფრო მეტად უნდა გაითვალისწინონ ეს კომუნისტებმა, რაიონულმა, სასოფლო და სამხარეო მუშაკებმა. მათ უნდა უხელმძღვანელონ კოლმეურნეობებს ისე, რომ თვითეული კოლმეურნე პირადად მთელი თავის არსებით დაინტერესებული იყოს, კოლმეურნეობის [illegible] ზრდითა და აყვავებით.

მოახლოებულმა საგაზაფხულო თესვამ არ უნდა შეუშალოს ხელი წესდების განხილვას. წესდების მიღება არ არის თესვიდან გამოსაყოფი გარეშე საქმე. სწორედ წესდების განხილვით უკეთ შეიძლება კოლმეურნეთა მობილიზაცია თესვის შესანიშნავად მომზადებისა და მისი მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

ამხ. **იაკოვლევის** მოხსენებაში, რომელიც გუშინ დაიბეჭდა „პრავდაში“, დაწვრილებით განხილულია სანიმუშო წესდების თვითეული მუხლი, აქ არ არის საჭირო ამაზე შეჩერება. მოვიგონებთ მხოლოდ ერთს— საკოლმეურნეო კადრების შესახებ. ამხანაგმა **სტალინმა** თათბირზე მეტალურგებთან თქვა:

„საჭიროა გავუფრთხილდეთ თვითეულ ნიჭიერ და მცოდნე მუშაკს, გავუფრთხილდეთ და გამოვზარდოთ ის, საჭიროა ადამიანების მზრუნველობითა და ყურადღებით გამოზრდა, როგორც მებაღე ზრდის სანუკვარ ხეხილს“.

ეს მითითება განსაკუთრებული ძალით ეხება კოლმეურნეობებს. აქ ჩვენ კადრები უფრო ნორჩი გვყავს და ისინი უნდა გამოვზარდოთ კიდევ უფრო მეტი მზრუნველობითა და ყურადღებით, ვიდრე ჩვენი მეურნეობის სხვა დარგებში. პარტია არავის ნებას არ მისცემს ხელი ჩაიქნიოს ახალ საკოლმეურნეო წესდებაზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც მისგან გამომდინარეობენ. დეე, ეს კარგად დაიხსომონ ზოგიერთმა ბიუროკრატებმა, რომლებიც მუშაობენ დაუვიწყარი ფამუსოვის პრინციპით: „ხელი მოვაწერე — მორჩა და გათავდა“-ო.

მოსკოვი

400 სპეციალისტი ა.-კავკასიისათვის

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

დაიწყო მოსკოვსა და ლენინგრადის უმაღლეს და ტექნიკურ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულ სტუდენტების გამოგზავნა სამუშაოთ ამიერ-კავკასიაში. სულ მიმდინარე წელში გამოიგზავნება სამუშაოთ 400 სპეციალისტი. მათ შორის არიან ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, აგრონომები და ტექნიკოსები.

აღსანიშნავია სხვათაშორის ის გარემოებაც, რომ მიმდინარე წელში პირველად იგზავნებიან სამუშაოთ რადიოსა და თბოტექნიკის სპეციალისტები, რომლებმაც უმაღლესი ტექნიკური განათლება მოსკოვში მიიღეს. მოთხოვნილება ასეთ სპეციალისტებზე ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების მხრივ დიდია. სულ შემოსულია 700 მოთხოვნილება.

დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობის შედეგები

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო სამეურნეო განყოფილების გამგის ამხ. ი. ა. იაკოვლევის მოხსენება მოსკოვის და ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებებზე

I. აღიზარდნენ ახალი საკოლმეურნეო სოფლის ხელმძღვანელები

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობამ დაგვანახვა, თუ მსხვილი მეურნეობის რა შესანიშნავი ორგანიზატორები წამოაყენეს კოლმეურნეობებმა მეტად მცირე დროის განმავლობაში.

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობაზე თითქმის ყოველი დელეგატი მოგვითხრობდა თავისი მეურნეობის გამარჯვებებზე, ამაყობდა მოსავლით და წველადობით თავის კოლმეურნეობაში, ყრილობის დელეგატები როგორც წარსულის შესახებ მოგვითხრობდნენ ერთპიროვნული სოფლის მეურნეობის საკოლმეურნეო რელსებზე გადაყვანის პირველი ორი-სამი წლის სიძნელეთა შესახებ.

ასეთი ადამიანები ყრილობაზე იყო 1.433, მათ შორის 390 — კოლმეურნეობის ბრიგადირი, 391 — კოლმეურნეობის თავმჯდომარე 55 ტრაქტორისტი, კომბაინერი და მექანიკოსი, 161 — მეცხოველეობის ფერმების მუშაკი, ყრილობის მონაწილეთა ორმესამედი მხოლოდ უკანასკნელ ოთხ წელიწადში გახდა კოლმეურნე. ყრილობის ყველა დელეგატიდან ორმესამედს უპარტიო კოლმეურნეები შეადგენდნენ, ყველა ისინი ის ადამიანებია, რომლებსაც საკოლმეურნეო წყობილებამ მისცა ყველაფერი: გზა შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებისაკენ, მსხვილ წარმოებაში მუშაობისა და მისი ხელმძღვანელობის შესაძლებლობა.

საკოლმეურნეო სოფლის ამ ახალ ნამდვილ **საბჭოთა** კადრებში თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს **ქალებმა**, ყრილობას დაესწრო 442 ქალი — მთელი ყრილობის ერთიმესამედი. მათ შორის 102 ბრიგადირი და 27 კოლმეურნეობის თავმჯდომარე. დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე ორი წლის წინათ ქალები შეადგენდნენ ყრილობის მხოლოდ ერთ მეშვიდედს.

თვითეული მათგანი, **წარმოადგენდა** იმ უდიდესი გადატრიალების ცოცხალ მაგალითს, რომელიც სოფლად მოხდა უკანასკნელ წლებში. ქალების აქტივობა საკოლმეურნეო ყრილობაზე განსაკუთრებით დიდი იყო. ეს გასაგებიცაა. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ქალები არამარტო გაათავისუფლა წვრილი ერთპიროვნული მეურნეობის ბრჭყალებისა და უიმედობისაგან, არამედ აგრეთვე მისცა მათ ნამდვილი სწორუფლებიანობა მამაკაცთან ოჯახში. კოლმეურნე-ქალები რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე, თავის სიტყვებსა და საუბრებში სამართლიანად ამაყობდნენ იმ რამდენიმე ასეული შრომადღით, რომელიც მათ გამოიმუშავეს მამაკაცებთან თანაბრად საზოგადოებრივი მეურნეობაში. ისინი სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მამაკაცებზე ნაკლებად არ უწევენ ხელმძღვანელობას საკოლმეურნეო საქმეებს, როგორც კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ან ბრიგადირები. ისინი გვიჩვენებენ თავისი მაგალითით, რომ საკოლმეურნეო წყობილებამ, ბოლო მოუღო რა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ჩამორჩენილობას და სილატაკეს, ამასთან ერთად მოსპო ქალის საუკუნოებრივი ტანჯვის **საფუძველი** გლეხის ოჯახში. სწორუფლებიანობა ქალებისათვის სოფლად მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლებამ, როცა მან დახმარება გაუწია გლეხებს — ერთპიროვნული მეურნეობის გზიდან გადასულიყვნენ საკოლმეურნეო გზაზე. სულ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს მტრებს იმედი ჰქონდათ, რომ ისინი შესძლებენ ამხედრონ ქალები კოლმეურნეობების წინააღმდეგ. ჩვენი მტრები. ისე როგორც ყოველთვის, აქაც სასტიკად ჩაიჭრნენ.

კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები. რომელნიც გამოვიდნენ ყრილობაზე. მოგვითხრობდნენ ჩრდილოეთ-კავკასიის მინდვრების შესახებ. რომლებმაც, მიუხედავად გვალვისა, 1934 წელს მოგვცა 160 ფუთი ხორბალი ჰექტარზე (ყაბარდო - ბალყარეთის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა —მოახსენა ყრილობას ამხ. მერეჟკომ), დასავლეთ-ციმბირის მინდვრების შესახებ. რომლებმაც 1934 წელს მოგვცა 120 ფუთი ხორბალი ჰექტარზე (კოლმეურნეობა „ნოვი პუტ“ — მოახსენა ყრილობას ამხ. **ზინკოვმა**), კალინინის ოლქის სელის ყანების შესახებ, რომელმაც ჰექტარზე მოგვცა 27 ფუთი სელი — ბოჭკო (კოლმეურნეობა „**გიგანტი**“ — მოახსენა ამხ. **ბარზაშევმა**). თურქმენისტანის ბამბის მინდვრების შესახებ. რომლებზედაც მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა 190 ფუთი ბამბა ჰექტარზე (კოლმეურნეობა „**ბოლშევიკი**“ — მოახსენა ამხ. **ალა-იუსუფ-ალიმ**), ბაშკირეთის მეცხოველეობის ფერმების შესახებ, საიდანაც წლის განმავლობაში არცერთი სული მოზარდი პირუტყვი არ დაღუპულა (კალინინის სახ. კოლმეურნეობა — მოახსენა ამხ. **ახიაროვმა**). ძროხების შესახებ, რომელთა წველადობამ ჩრდილოეთ-კავკასიაში 6.687 კილოგრამს მიაღწია (კოლმეურნეობა „**კრასნი ოქტიაბრი**“ — მოახსენა ამხ. **ფომინმა**).

რასაკვირველია. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ საუკეთესო კოლმეურნეობები. **მაგრამ საუკეთესო** ისინი გახდნენ არა იმიტომ, რომ მათ **აქვთ რაღაც განსაკუთრებული ტექნიკა ან ნიადაგი, ან განსაკუთრებული ჰავა**. ამ კოლმეურნეობებს აქვთ ისეთივე ტრაქტორები და მანქანები როგორიც დანარჩენ კოლმეურნეობებს. ამ კოლმეურნეობებს მიცემული აქვთ დასამუშავებლად ისეთივე სახელმწიფო მიწა, როგორიც სხვა კოლმეურნეობებს. ეს კოლმეურნეობები ისე, როგორც სხვები, ჩამოყალიბდნენ უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში. მოწინავე კოლმეურნეობების მთელი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მათ შესძლეს მსხვილი მეურნეობის უპირატესობების გამოყენება, მათ შესძლეს მანქანების კარგად გამოყენება, —და რაც მთავარია — ამ კოლმეურნეობებში აღიზარდნენ გამოცდილი საიმედო და შემოწმებული ხელმძღვანელები და ამ კოლმეურნეობების წევრებმა ისწავლეს საზოგადოებრივ დოვლათზე ზრუნვა და პატიოსნად მუშაობა.

ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მოწინავე კოლმეურნეობებში მიიღონ პურიც ხორციც, ერბო-კარაქიც ორჯერ და სამჯერ უფრო მეტი იმაზე, რასაც იგივე ადამიანები ღებულობდნენ წინათ, როცა ისინი დაქუცმაცებულ წვრილ მეურნეობებად ცხოვრობდნენ.

კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველივე ამის შესახებ ახლა მთელ ჩვენ ქვეყანას უამბეს თვით გლეხებმა. მოწინავე კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა და დამკვრელებმა.

დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობამ ერთხელ კიდევ დაანახვა ყველა კოლმეურნეს და კოლმეურნე ქალებს, რომ შეძლებული და კულტურული ცხოვრების გასაღები მათ საკუთარ ხელშია.

ასეთი მოწინავე კოლმეურნეობები ჯერ კიდევ არ შეადგენენ უმრავლესობას. მთელი საქმე იმაშია, რომ მოწინავეთა გამოცდილება, რაც შეიძლება მალე გადავცეთ ყველა კოლმეურნეობას. აი რისთვის შეიქნა საჭირო პირველ რიგში სასოფლო - სამეურნეო არტელის **ახალი** სანიმუშო წესდება.

წესდების საკითხი — ეს არის იმის საკითხი, თუ **როგორ დავაყენოთ ყველა კოლმეურნეობა იმ ათიათასობით მოწინავეთა დონეზე**, რომლებიც უკვე გადაიქცნენ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად და **რომლებმაც** უკვე გახადეს თავისი **წევრები** შეძლებულებად. სასოფლო-სამეურნეო არტელის ძველ. 1930 წლის სანიმუშო წესდებაში **ჩაწერილი** იყო ის წესები, რომელთა **საფუძველზე** გლეხები წვრილი ერთპიროვნული მეურნეობიდან **გადადიოდნენ** მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე. ახლა გლეხთა უმრავლესობის კოლმეურნეობებში გაერთიანების საკითხი გადაწყვეტილია მტკიცე და სამუდამოდ. ამიტომ ახალმა წესდებამ უნდა სთქვას — თუ როგორ უნდა ცხოვრება და მუშაობა არტელში, თუ **როგორ მოეწყოს უკეთ საკოლმეურნეო წარმოება და საკოლმეურნეო ცხოვრება**.

II. კოლმეურნეობათა მიერ დაკავებული მიწის მოწყობის შესახებ

დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე ჩემს მოხსენებაში მოვიყვანე იმის რამდენიმე მაგალითი თუ, როგორ ჭრიან ადგილობრივი ხელისუფალნი ერთი კოლმეურნეობის მიწას სხვა კოლმეურნეობების ან საბჭოთა მეურნეობების სასარგებლოდ. რომ დღემდე კოლმეურნეობებში ხშირად დარჩენილია მიწების მოუწყობლობა, ხარვეზიანობა, სიშორე. ყრილობის კომისიის სხდომაზე დელეგატებს მოჰყავდათ მიწის მოუწყობლობის, ხარვეზიანობის მიუტევებელი მაგალითები. შემდეგში ამის მოთმენა შეუძლებელია, თუ ჩვენ სერიოზულად გვინდა მივაღწიოთ მაღალ მოსავალს.

ბევრს ჩვენს მუშაკს დღემდეც არ ესმის, რომ **მიწის თვითეული ნაკვეთი მოითხოვს თავის განსაკუთრებულ მოვლას**.

ყველამ იცის, რომ მძრალად მოხვნა, ანეულის მოხვნა, ადრე დათესვა — ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი რამ გააკეთო მოსავლიანობის გადიდებისათვის. მაგრამ იმისათვის. რომ საანეულოდ დათესილმა ხორბალმა. მოგვცეს მაღალი მოსავალი, საჭიროა საანეულო მიწები მართლაც სუფთად შევინახოთ. ამისათვის საჭიროა ეს მიწები ზაფხულის განმავლობაში რამდენიმეჯერმე იქნას დამუშავებული სხვადასხვა ვადაში და სხვადასხვა იარაღით. იმის მიხედვით. თუ რა სარეველა ბალახით არის დაავადებული მინდვრები, ერთი საქმეა, როცა მინდორი დაავადებულია ყვავის ჯანგათი: აქ ანეული უნდა მოიხნას ღრმად, ამის შემდეგ რამდენჯერმე უნდა გადაიხნას [illegible]. ამასთან ყოველთვის უნდა მოიჭრას ყვავისჯანგას ძირები და ვიბრძოლოთ მის მოსასპობად. სხვა საქმეა როცა მინდორი დაავადებულია „სვინორით“: აქაც ანეული უნდა მოიხნას ღრმად. მაგრამ მისი დამუშავება საჭიროა ზამბარიანი კულტივატორებით, უნდა გაიწმინდოს ძირები. შეგროვდეს ისინი და გაშრეს მზეზე. იმისათვის. რომ ასე დამუშავდეს ანეული. საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა სარეველა ბალახითაა დაავადებული თვითეული მინდორი. ეს არ ეცოდინება იმ კოლმეურნეობას, რომელსაც დღეს ჩამოუჭრეს მიწის ნაკვეთი მეზობელი კოლმეურნეობისათვის ანდა საბჭოთა მეურნეობისათვის. ხოლო ხვალ მას მიუზომეს ნაკვეთი სხვა კოლმეურნეობისაგან.

საადრეო თესვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთ შემთხვევაში: არ დავიცადოთ სანამ მთელი მიწა მთლიანად მზად იქნება სათესად. არამედ ვთესოთ თვითეულ ცალკე ნაკვეთზე ნიადაგის მომზადების მიხედვით — ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ იმ კოლმეურნეობას, რომელმაც მთელი რიგი წლების გამოცდილებით იცის, თუ რომელ ნაკვეთებზე უფრო ადრე დნება თოვლი, სად არის ქვიშნარი ნაკვეთები.

იმისათვის, რომ მივიღოთ კარგი მოსავალი, საჭიროა შემოვიღოთ და დავიცვათ თესლბრუნვა. მაგალითად, ვორონეჟის და ვინიცკის ოლქებში საუკეთესო შვიდმინდვრიანი თესლბრუნვის დროს ჭვავი ითესება ცერცვოვანი ბალახების შემდეგ. ასეთი თესლბრუნვის ყველა უპირატესობის მიღება შეიძლება. თუ მთელი 7 წლის განმავლობაში მტკიცედ დავიცავთ თვითეულ მინდორზე კულტურების შეცვლის დადგენილ წესს, კულტურების — მეორეჯერ და მესამეჯერ გამეორებული რიგრიგობითი თესვა მოგვცემს ჭარხალის უფრო და უფრო მეტ მოსავალს. მებამბეობის რაიონში იონჯისათვის შეტანილი სუპერფოსფატი გავლენას მოახდენს ბამბის მოსავლის გადიდებაზე 4-5 წლის შემდეგ.

ხეხილის ბაღი მთლიანად იძლევა ყოველივე იმას. რისი მოცემაც კი შეუძლია, დარგვიდან 10-15 წლის შემდეგ.

ამოძირკვა მოითხოვს დიდძალი შრომის დახარჯვას. კოლმეურნეობა სერიოზულად გაატარებს ამ ღონისძიებას. თუ იგი დარწმუნებული იქნება, რომ ათეული წლობით ისარგებლებს მოსავლით და მიწა ექნება მას უდავო სარგებლობაში.

ტყის ზოლები მთლიანად დაიცავენ მინდვრებს მხოლოდ მათი დარგვიდან 10—20 წლის შემდეგ.

ერთი სიტყვით, თუ ჩვენ გვინდა მივიღოთ მიწიდან მარცვლეულის არა ორმოცდაათფუთიანი [illegible] მოსავალი, სელის ბოჭკოს არა უბადრუკი ხუთმეტფუთიანი მოსავალი, არამედ წლითი-წლობით მარცვლეულის ასფუთიანი მოსავალი, სელის ბოჭკოს ოცდაათფუთიანი მოსავალი, საჭიროა წლითი-წლობით დაჟინებით და მოთმინებით **დავნერგოთ საკოლმეურნეო მიწაზე პატრონის მზრუნველობითი მოვლა**. ხოლო ნამდვილ პატრონად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ ის კოლმეურნეობა, რომელიც იცნობს თავისი მიწის თვითეულ ნაკვეთს და წლითი-წლობით მუშაობს მის გაუმჯობესებაზე. იმისათვის. რომ კოლმეურნეობამ იგრძნოს თავისი თავი ნამდვილ პატრონად. საჭიროა თვითეული კოლმეურნე სავსებით იყოს დარწმუნებული. რომ მიწა მას სამუდამოდ დარჩება, რომ იგი და მისი შვილები ისარგებლებენ საზოგადოებრივ მინდორზე თავისი შრომის შედეგებით.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის შესახებ დადებული შეთანხმების პარაფირება

ტოკიო, 11 მარტი. დღეს საგარეო საქმეთა მინისტრის **ხიროტას** ოფიციალურ რეზიდენციაში პარაფირებულ იქნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის საკითხზე დადებული შეთანხმება და ის დოკუმენტები, რომლებიც ამ შეთანხმებას ეხება, მათ შორის არის ის, ნოტები იაპონიის მთავრობის მიერ მანჯურიის გადასახდელების გარანტიის შესახებ, რომლებსაც ერთმანეთს გაუგზავნიან საბჭოთა კავშირი და იაპონია, და იაპონია-საბჭოთა კავშირის ოქმი იმ საქონლის ფასებს დაწესების შესახებ, რომელიც გაცემულ უნდა იქნას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის საფასურის ანგარიშში. შეთანხმება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის შესახებ და დოკუმენტები პარაფირებულ იქნა იაპონიაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი **ამხ. იურენევის**, საგარეო საქმეთა მინისტრის **ხიროტას** და მანჯოუგოს დელეგაციის მეთაურის **ში-იუანის** მიერ.

შეთანხმების პარაფირებას წინ უძღოდა სამი საათის სხდომა სარედაქციო კოლეგიისა, რომელმაც მოახდინა დოკუმენტების შემოწმება. შეთანხმების პარაფირების შემდეგ მოხდა აზრთა გაზიარება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **იურენევმა**, საგარეო საქმეთა მინისტრმა **ხიროტამ**, **ამხ.** კოზლოვსკიმ და **კუზნეცოვმა**, აგრეთვე იაპონია-მანჯურიის მხარის წარმომადგენლებმა **ტოგომ** და **ნისიმ**.

აზრთა გაზიარების დროს გამოირკვა, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის შესახებ მიღწეული შეთანხმების ფორმალური ხელმოწერა მოხდება 22 მარტს, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 23 მარტისა (ტასს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ საქმესთან გაცნობილ წრეებიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, ა.-წ. 11 მარტს პარაფირებული დოკუმენტები, რომლებიც შეეხება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გაყიდვას, შეიცავს:

1) ძირითად შეთანხმებას **საბჭოთა კავშირსა** და მანჯოუგოს შორის;

2) სამხრივ ოქმს **საბჭოთა კავშირსა**, იაპონიასა და მანჯოუგოს შორის;

3) მთელ რიგ ნოტებს, რომელთა გაცვლა-გამოცვლა უნდა მოხდეს **საბჭოთა კავშირსა** და იაპონიას შორის აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გაყიდვასთან დაკავშირებით.

შეთანხმება **საბჭოთა კავშირსა** და მანჯოუგოს შორის შეიცავს შემდეგ დებულებებს:

შეთანხმების შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ შეთანხმება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გაყიდვის შესახებ იდება მშვიდობიანობის განმტკიცების მიზნით შორეულ აღმოსავლეთში.

შეთანხმების ძალით საბჭოთა კავშირი თავის ყველა უფლებებს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზაზე უთმობს მანჯოუგოს მთავრობას 140 მილიონ იაპონურ იენად (იმ გადასახადების ჩაუთვლელად, რომლებიც ეკუთვნით სამსახურიდან განთავისუფლებულ საბჭოთა მუშა-მოსამსახურეებს, რაც დაახლოებით შეადგენს 30 მილიონ იენს).

აღნიშნული თანხის ერთი მესამედი, სახელდობრ, 46.700.000 იენი გადახდილი უნდა იქნეს ფულით. 23.300.000 იენი გადახდილი იქნება ნაღდად დაუყოვნებლივ შეთანხმებაზე ხელის მოწერისთანავე, ხოლო გამოსასყიდი თანხის ფულადი ნაწილის მეორე ნახევარი გადახდილი იქნება მანჯოუგოს სახაზინო ვალდებულებებით, რომლებიც განაღდებული უნდა იქნეს სხვადასხვა ოდენობით სამი წლის განმავლობაში 4 ვადად წლიურად სამი პროცენტის დარიცხვით. შეთანხმება ითვალისწინებს ეგრედწოდებულ ოქროს შენიშვნას, ე. ი. იენის შემდგომი დაცემის შემთხვევაში საბჭოთა კავშირის კუთვნილი გადასახადები შესაბამისად გადიდებული უნდა იქნეს.

გამოსასყიდი თანხის დანარჩენი ორი მესამედი—93.300.000 იენი გადახდილი უნდა იქნეს იაპონიისა და მანჯურიის ფირმების მიერ საქონლის მოწოდების სახით იაპონიაში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის დაკვეთების მიხედვით სამი წლის განმავლობაში ამ საქონლის მოწოდებას ანაღდებს მანჯოუგოს საელჩო იაპონიაში, იაპონიის სამრეწველო ბანკის საშუალებით.

გზა გადადის მანჯოუგოს მფლობელობაში და მმართველობაში დაუყოვნებლივ შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ. შეთანხმება აწესებს გზის აქტივებისა და პასივების ახალი პატრონისათვის გადაცემის წესს.

შეთანხმების სპეციალური კარი ეხება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების ინტერესების უზრუნველყოფას. შეთანხმებაში გათვალისწინებულია რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის ყველა საბჭოთა მუშა-მოსამსახურეები იმ შემთხვევაში, თუ ისინი მანჯურიის ახალმა ადმინისტრაციამ დაითხოვა გზაზე სამსახურიდან, სრულ ანგარიშს ღებულობენ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზაზე არსებული წესების მიხედვით. მათ ეძლევათ გამოსასვლელი დახმარება, უზრუნველყოფილია მათთვის პენსიები და სხვა, იმ შემთხვევაში, თუ გზის ახალ პატრონებს სურთ დაითხოვონ ესა თუ ის საბჭოთა მოსამსახურე, უკანასკნელი დათხოვნის შესახებ გაფრთხილებული უნდა იქნეს სამი თვით ადრე, ამასთან საბჭოთა მოქალაქეებს აქვთ კიდევ ორი შეღავათიანი თვე თავიანთი საქმეების ლიკვიდაციისათვის. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე მომუშავე საბჭოთა მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილია სამშობლოში შეუფერხებლად დაბრუნება და თავისი კუთვნილი ქონების გამოზიდვა.

ხარბინში მყოფ საბჭოთა კავშირის გენერალურ საკონსულოს უფასო და უვადო სარგებლობაში რჩება მიწის ნაკვეთი და შენობა, რომელიც საკონსულოს უჭირავს, და აგრეთვე მიწის ნაკვეთი და შენობები, რომლებიც საკონსულოს თანამშრომლებს უჭირავთ და ეკუთვნიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზას. გარდა ამისა უვადო და უფასო იჯარის წესით საბჭოთა მოქალაქეების კოლონიის სარგებლობაში გადადის მიწის ნაკვეთები და სკოლისა და საავადმყოფოს შენობები. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის წიგნების ფონდებიდან კოლონიისათვის გამოყოფა ბიბლიოთეკა.

შეთანხმებით გათვალისწინებულია ურთიერთ-გაბათილება პრეტენზიებისა სარკინიგზო ქონებას გამო აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზასა და საბჭოთა რკინისგზებს შორის. ზაბაიკალის და უსურიის რკინისგზების ქონება (სალიანდაგო გზა, დეპო- ვაგონები და სხვ.), რომელიც იმყოფება მანჯურიაში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის საზღვართან მდებარე სადგურებთან ამ გზების საკუთრებაში რჩება

შეთანხმებით გათვალისწინებულია სპეციალური შეთანხმების დადება, რომლის მიზანია საბჭოთა და მანჯურიის რკინისგზებს შორის პირდაპირ, გადაუსხდომლად, გადმოუტვირთავად მიმოსვლის საკითხების მოგვარება.

მეორე დოკუმენტი—ოქმი **საბჭოთა კავშირსა**, იაპონიასა და მანჯოუგოს შორის შეიცავს დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია ნორმალურ ურთიერთობათა უზრუნველყოფისაკენ სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ დაკვეთების განაწილებლად იაპონიისა და მანჯურიის ფირმებს შორის. პირველ რიგში დაწესებულია, რომ საქონლის ეს მიწოდება უნდა ხდებოდეს ნორმალური ფასებით, რომელთაც საფუძვლად უნდა დაედოს საბირჟო საქონლისათვის საბირჟო კოტირება, იაპონიიდან და მანჯოუგოდან საექსპორტო საქონლისათვის საექსპორტო ფასები, ხოლო არასაექსპორტო საქონლისათვის — საბითუმო ფასები, რომლებიც არსებობს იაპონიისა და მანჯოუგოს ბაზრებზე. სავაჭრო წარმომადგენლობასა და ფირმებს შორის უთანხმოებათა მოსაგვარებლად, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას მოსაწოდებელ საქონლის ფასების, ფასის გადახდის და საქონლის გაცემის პირობების, აგრეთვე დაკვეთის შესრულების ირგვლივ, არსდება სპეციალური პარიტეტული შემთანხმებელი კომისია, რომელშიც შედიან ორი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირიდან, ერთი—იაპონიიდან და 1 მანჯოუგოდან, და რომელმაც უნდა განიხილოს თვითეული დავა 6 კვირის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ შემთანხმებელ კომისიაში არ იქნება მიღწეული შეთანხმება, დავა განსახილველად წარიმართება დიპლომატიური წესით.

სპეციალური ნოტით, რომელიც უნდა ჩაბარდეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას, იაპონიის მთავრობა კისრულობს თავის თავზე ყველა იმ ფულადი და სასაქონლო გადასახადების გარანტიას, რომლები ეკუთვნის საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე უფლებების დათმობასთან დაკავშირებით. მეორე ნოტაში იაპონიის მთავრობა უზრუნველყოფს ყველა იმ გადასახადთა ტრანსფერს, რომლებიც ეკუთვნის საბჭოთა კავშირს.

შეთანხმება ძალაში შევა დაუყოვნებლივ ხელის მოწერის შემდ

დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობის შედეგები

ამხ. ი. ა. იაკოვლევის მოხსენების გაგრძელება

ამიტომ იყო ყრილობის განსახილველად შეტანილ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების პროექტში გათვალისწინებული, რომ მიწა, რომელიც არტელს უჭირავს, „რჩება არტელის უვადო სარგებლობაში".

ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი ყრილობის კომისიის სხდომაზე ყურადღებით ისმენდენ კოლმეურნეთა სიტყვებს. კოლმეურნეები მოგვითხრობდენ იმის შესახებ, თუ ჩვენში ზოგჯერ როგორ აქუცმაცებენ იმ მიწას, რომელიც სახელმწიფოს მიერ გადაცემულია კოლმეურნეობის სარგებლობაში. ამის შემდეგ ამხ. სტალინმა საჭიროდ დაინახა კიდევ უფრო ნათლად, კიდევ უფრო მტკიცედ გვეთქვა კოლმეურნეობებისათვის მიწის შენარჩუნების შესახებ. მან მოითხოვა გვეთქვა, რომ მიწა, რომელიც კოლმეურნეობას უჭირავს, „რჩება არტელის უვადო სარგებლობაში, **ესე იგი სამუდამოდ**", რაც მოწონებულ იქნა კომისიის ყველა წევრის მიერ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება დამტკიცებულია სახალხო კომისართა საბჭოს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ. მაშასადამე დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობაზე სამუდამოდ მიმაგრებული იქნას მის მიერ დაკავებული მიწა- კანონად იქცა.

მიწის საკითხის გაგებაში რომ დაშვებული არ იქნას აზრთა არავითარი სხვაობა და უზრუნველყოფილი იქნას კანონის ურყევად შესრულება თვითეულ კოლმეურნეობას მიეცემა სახელმწიფო აქტი მიწის სამუდამო სარგებლობის შესახებ. ამაზე სანიმუშო წესდება შემდეგს ლაპარაკობს:

„თვითეულ არტელს საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტი აძლევს მიწის უვადო სარგებლობის სახელმწიფო აქტს, რომელშიაც დაწესებულია არტელის სარგებლობაში მყოფი მიწის ოდენობა და ზუსტი საზღვრები. ამასთანავე ამ მიწების შემცირება არ დაიშვება, არამედ დაიშვება მხოლოდ მათი გადიდება ან სახელმწიფო ფონდის თავისუფალი მიწების ხარჯზე, ან ერთპიროვნულ მეურნეების მიერ დაკავებულ ზედმეტ მიწების ხარჯზე იმ ანგარიშით, რომ ამასთან დაშვებულ არ იქნას მიწების რაიმე ხარეზიანობა" (სანიმუშო წესდების მეორე მუხლიდან).

ამით მუშურ-გლეხური სახელმწიფო ეუბნება კოლმეურნეობებს: თქვენ უკვე ამთავრებთ დაქუცმაცებულ ნაკვეთების, წვრილ გლეხურ მეურნეობების კოლმეურნეობათა მსხვილ მიწის მასივებად შეგროვებას; სახელმწიფო ამაგრებს ამ მიწას კოლმეურნეობის მუდმივ სარგებლობაში; ახლა იმუშავეთ ამ მიწაზე ისე, რომ წლითი-წლობით იზრდებოდეს მიწის ნაყოფიერება, რომ მოისპოს სარეველა ბალახები, რომ წლიდან წლამდე იზრდებოდეს კოლმეურნეობების და მთელი ჩვენი სამშობლოს სიმდიდრე.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა მიწის მოწყობის საკითხისა. სანიმუშო წესდება რომ დაკმაყოფილდეს მარტო იმით, რომ თვითეულ კოლმეურნეობას მუდმივ სარგებლობაში შეურჩიონ მის მიერ დაკავებული მიწა, ამით მხოლოდ ნახევარი საქმე იქნება გაკეთებული. ამით მოსპობილი იქნებოდა მიწის კოლმეურნეობათაშორისი გაუპიროვნება. მაგრამ ჯერ კიდევ დარჩებოდა მიწის გაუპიროვნება კოლმეურნეობის შიგნით. მიწის შინასაკოლმეურნეო გაუპიროვნება ნიშნავს იმას, რომ ბრიგადები და კოლმეურნეები წლიდან წლამდე მუშაობენ საკოლმეურნეო მიწის სხვადასხვა ნაკვეთებზე. ასეთი გაუპიროვნება საკოლმეურნეო შეძლებულობის უბოროტესი მტერია. ჩვენ ვერაფერი გავაწყეთ ამ გაუპიროვნების წინააღმდეგ 1930 წელს. მაშინ მიწის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ ერთპიროვნულ მეურნეთა ხელში იყო. მაშინ გლეხებს კოლმეურნეობა ესმოდათ როგორც ჯგუფად მუშაობა. სხვა მდგომარეობაა ახლა. თითქმის თვითეული კოლმეურნეობა დაიყო ბრიგადებად. საკოლმეურნეო ბრიგადების დიდი ნაწილი უკვე მუდმივი შემადგენლობის ხალხისაგან შესდგება. ახლა თვითეულ კოლმეურნეობას შეუძლია და მოვალეც არის, დაანაწილებს არა მიწებს მინდვრებად, თესლბრუნვად, მისცეს მემინდვრეობის თვითეულ ბრიგადას თესლბრუნვის ყოველ მინდორზე მიწის მუდმივი ნაკვეთი. მაშინ ნამდვილად მოეღება ბოლო მიწის გაუპიროვნებას.

სწორედ ასეა ეს ჩაწერილი სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში:

„არტელის მიწები იყოფა მინდვრებად დამტკიცებულ თესლბრუნვის მიხედვით. თესლბრუნვის მინდვრებზე მემინდვრეობის თვითეულ ბრიგადას უნდა მიემაგროს მუდმივი ნაკვეთი თესლბრუნვის მთელი ვადით" (სანიმუშო წესდების მესამე მუხლიდან).

ეს უნდა გავატაროთ ყოველ კოლმეურნეობაში ყოველგვარი კამპანიისის გარეშე. მაშინ ჩვენ საფუძველს ჩავუყრით კოლმეურნეობის ნამდვილ კულტურულ მეურნეობად გადაქცევას და მოსავლიანობის გადიდების საქმეს სწრაფად წავწევთ წინ.

სხვათა შორის ერთი შენიშვნა ჩვენი სამიწათმოქმედო ორგანოების შესახებ. ისინი ჯერჯერობით უცნაურ სიმშვიდესა და სიჩუმეს იჩენენ ამ გადაწყვეტილების შესრულების საქმეში. სანიმუშო წესდებაში ნათქვამია, რომ დაუშვებელია მიწების ყოველგვარი დაქუცმაცება. აშკარაა, თვითეული კოლმეურნეობა მოითხოვს და უნდა მოითხოვოს კიდეც მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტის მიღების დროს დაქუცმაცების, გრძელმიწიანობის და შორსმიწიანობის მოსპობა, თუ მათ ჯერ კიდევ აქვს ადგილი. ვინ მოისურვებს დაქუცმაცებული მიწების მიმაგრებას? მაშასადამე, საჭიროა არ დავკარგოთ არც ერთი დღე, დავრაზმოთ ყველა მიწის მომწყობი და სამიწათმოქმედო ტექნიკოსი კოლმეურნეობების საზღვრების აღსანიშნავად რუკაზე. უნდა გამოვამჟღავნოთ მიწის მოუწყობლობის ყოველი შემთხვევა, რათა დაუყოვნებლივ შევუდგეთ მათ აღმოფხვრას.

თუ სამიწათმოქმედო ორგანოებმა ხელი არ მოკიდეს ამ საქმეს ისე როგორც საჭიროა - ბოლშევიკურად მათ სასტიკად დასჯის მთავრობა.

III არტელში კოლმეურნეთა პირადი ინტერესების მათ საზოგადოებრივ ინტერესებთან შეხამების შესახებ

ამხანაგი სტალინი დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე ლაპარაკობდა პატარა გაუგებრობის შესახებ კოლმეურნეებთან. საქმე ეხებოდა ძროხას. ეს იყო 1930 წლის დასაწყისში. ჩვენ ეს გაუგებრობა მოვაგვარეთ. საკითხი გადაწყვეტილ იქნა ამხანაგ სტალინის ინიციატივით. მაშინ სასოფლო სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში ეწერა: თვითეულ საკოლმეურნეო კომლს ნება ეძლევა იყოლიოს პირად სარგებლობაში ერთი ძროხა.

მას შემდეგ საკოლმეურნეო მშენებლობის დიდი გამოცდილება დავაგროვეთ. განმტკიცდა საკოლმეურნეო წარმოების საზოგადოებრივი საფუძველი.

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობა მე-17 პარტიული ყრილობის ერთი წლის შემდეგ შეიკრიბა. თავის სიტყვაში პარტიულ ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა დაგვანახა, რომ სასოფლო სამეურნეო არტელი სწორედ იმიტომ გახდა საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმად, რომ ის სწორად ახამებს კოლმეურნეთა პირად საყოფაცხოვრებო ინტერესებს მათ საზოგადოებრივ ინტერესებთან.

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობის კომისიის სხდომაზე ამხანაგმა სტალინმა კვლავ ლენინური პირდაპირობით და სიცხადით დაგვანახა, რომ არტელი არ უარყოფს კოლმეურნეთა პირად ინტერესებს, არტელში შეხამებულია კოლმეურნეთა პირადი ინტერესები საზოგადოებრივთან. არტელი თანდათანობით და მოთმინებით უგუებს კოლმეურნეების პირად ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებთან, მაგრამ ანგარიშს უწევს პირად ინტერესებს. ამხანაგმა სტალინმა ყრილობის კომისიის სხდომაზე თქვა:

„თუ თქვენ გინდათ განამტკიცოთ არტელი, თუ თქვენ გინდათ გქონდეთ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელმაც უნდა მოიცვას კომლთა მილიონები და არა ერთეულები და ასეულები, თუ თქვენ გინდათ მიაღწიოთ ამას, — თქვენ ახლანდელ პირობებში კოლმეურნეთა საერთო ინტერესების გარდა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ მათი პირადი ინტერესები".

გამოდიოდა რა აქედან, ამხ. სტალინმა გაუსწორა მთელ რიგ მოწინავე კოლმეურნეებს, რომლებიც მოითხოვდენ, რომ მაგრად შეკვეცილიყო საკოლმეურნეო კომლებში საკარმიდამო მიწა ანდა პირადი პირუტყვი. ამხ. სტალინი მაგრად შეეკამათა მათ. მან პირდაპირ უთხრა მათ, ითვალისწინებდა რა რომ, ამ შემთხვევაში ისინი გამოხატავენ არა მთელი საკოლმეურნეო მასის, არა მისი უმრავლესობის, არამედ მოწინავე — უმცირესობის განწყობილებას და მოთხოვნილებას.

„თქვენ ოდნავადაც არ ითვალისწინებთ კოლმეურნეთა პირად ინტერესებს, როცა ლაპარაკობთ, რომ კოლმეურნეს საკარმიდამო მიწად არ მიეცეს ჰექტარის ერთ მეათედ ნაწილზე მეტი. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ არ შეიძლება ძროხის მიცემა, ზოგიერთები კი ფიქრობენ, რომ დედალორის მიცემა არ შეიძლება. და საერთოდ თქვენ გინდათ შეავიწროვოთ კოლმეურნე. ეს საქმე არ გამოვა. ეს არ არის სწორი".

„თქვენ მოწინავე ხალხი ხართ. მე მესმის, რომ თქვენ დიდად ზრუნავთ საკოლმეურნეო წყობილებაზე, საკოლმეურნეო მეურნეობაზე. მაგრამ განა ყველა კოლმეურნე ისეთია, როგორიც თქვენ ხართ? თქვენ ხომ უმცირესობა ხართ კოლმეურნეობებში. უმრავლესობა ცოტათი სხვანაირად ფიქრობს. ამას უნდა გავუწიოთ თუ არა ანგარიში? მე ვფიქრობ, რომ უნდა გავუწიოთ".

„თუ თქვენ არტელში ჯერ კიდევ არ გაქვთ პროდუქტების სიუხვე და თქვენ არ შეგიძლიათ მისცეთ ცალკეულ კოლმეურნეებს, მათ ოჯახებს ყველაფერი, რაც მათთვის საჭიროა, კოლმეურნეობას არ შეუძლია იკისროს მათი როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი საჭიროებების დაკმაყოფილება. მაშინ უმჯობესია პირდაპირ ითქვას, რომ მუშაობის ესა-და ეს დარგი არის საზოგადოებრივი, ხოლო ესა და ეს დარგი კი პირადი. უმჯობესია დავუშვათ პირდაპირ, აშკარად და კეთილსინდისიერად, რომ საკოლმეურნეო კომლს უნდა ჰქონდეს თავისი პირადი მეურნეობა მცირე, მაგრამ პირადი.

უმჯობესია გამოვიდეთ აქედან, რომ არის არტელური მეურნეობა, საზოგადოებრივი, დიდი, მსხვილი და გადამწყვეტი, აუცილებელი საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და მასთან ერთად არის მცირე პირადი მეურნეობა, აუცილებელი კოლმეურნის პირად საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. რაკი არსებობს ოჯახი, ბავშვები, პირადი მოთხოვნილებანი და პირადი გემოვნება, არ შეიძლება ამას არ გავუწიოთ ანგარიში. და თქვენ არ გაქვთ უფლება არ გაუწიოთ ანგარიში კოლმეურნეთა პირად საყოფაცხოვრებო ინტერესებს. უამისოდ შეუძლებელია კოლმეურნეობათა განმტკიცება. კოლმეურნეთა პირადი ინტერესების შეთავსება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ინტერესებთან აი, სად არის კოლმეურნეობათა განმტკიცების გასაღები".

ასე ასწავლიდა მშრომელი ხალხის ბელადი ამხ. **სტალინი** მოწინავე კოლმეურნეებს, როგორ უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა კოლმეურნეთა მასებს, წინ გაუძღვენ მათ, განამტკიცონ საკოლმეურნეო წყობილება. ამხ. **სტალინი** მოითხოვდა მოწინავეებისაგან არ მოწყდენ მასებს, არ გამოიწვიონ არასაჭირო და სრულიად ზედმეტი უკმაყოფილება, არამედ გაითვალისწინონ მასების განწყობილება და მოთხოვნილებები, როგორც მუდამ იქცეოდა ლენინი:

„აქ საჭიროა თვლა არა ათასობით, როგორც არსებითად ითვლის პროპაგანდისტი, პატარა ჯგუფის წევრი, რომელსაც ჯერ არ გაუწევია ხელმძღვანელობა მასებისათვის, აქ საჭიროა თვლა მილიონობით და ათეული მილიონობით" (ლენინი ტ. XXV, გვ. 230).

დაემყარა რა ამხ. **სტალინის** მითითებას, დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობამ ჩასწერა სანიმუშო წესდებაში, თუ როგორ უნდა განმტკიცდეს არტელში საზოგადოებრივი მეურნეობა —კოლმეურნეობების თვით არსებობის და მათი ზრდის ეს საფუძველი. ამასთან ერთად წესდებამ განსაზღვრა საკოლმეურნეო კომლების პირადი მეურნეობის ოდენობა: საკოლმეურნეო კომლთა პირად სარგებლობაში მყოფი საკარმიდამო მიწის ოდენობა და პირუტყვის რაოდენობა.

საქმის მეორე მხარე, რომელმაც უაღრესად ნათელი გამოხატულება ჰპოვა ამ ყრილობაზე, მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირი უზარმაზარი ქვეყანაა — მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილი — და პირობები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში სრულიად სხვადასხვაგვარია. სანიმუშო წესდებას რომ არ გაეთვალისწინებია სხვადასხვა რაიონის თავისებურება და ინტერესები, იგი ვერ გახდებოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებად მთელი საბჭოთა კავშირისათვის. საქმე ეხება არა მარტო ოლქების და მხარეების ან რესპუბლიკების თავისებურებათა გათვალისწინებას რომელიმე საერთო ღონისძიების გატარების დროს. ასევე სდგას საკითხი ოლქის მხრივ რაიონებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის შესახებ, რაიონის მხრივ — კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის შესახებ.

I. საკარმიდამო მიწის რაოდენობის შესახებ

დავიწყოთ საკარმიდამო მიწის ოდენობის საკითხით. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება ითვალისწინებს საზოგადოებრივ მიწებიდან თვითეული საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში გამოყოფას მცირე ნაკვეთებისა საკარმიდამო მიწის სახით (ბოსტანი, ბაღი.) ასეთია სანიმუშო წესდებით შემოღებული საერთო წესი, ხოლო როცა სანიმუშო წესდება გადადის საკითხზე, იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს მცირე ნაკვეთი სხვადასხვა პირობებში, იგი სახავს სხვადასხვა ოდენობა სხვადასხვა რაიონისთვის.

ლენინგრადის ან მოსკოვის მახლობლად საკოლმეურნეო კომლისთვის მის პირად სარგებლობაში მეოთხედი ჰექტარი საკარმიდამო მიწის მიზომვა სავსებით საკმარისი იქნება. მეოთხედ ჰექტარზე იგი შესძლებს თავისი კერძო ინტერესის დაკმაყოფილებას ისე, რომ ზიანს არ მიაყენებს საზოგადოებრივ ინტერესს, მაგრამ თუ ლენინგრადის და მოსკოვის მახლობლად საკოლმეურნეო კომლს პირად სარგებლობაში მივუზომავთ ჰექტარს ან ნახევარ ჰექტარს — საკარმიდამო მიწას ბოსტნისთვის, ასეთი კოლმეურნე აუცილებლად მიაფურთხებს საზოგადოებრივ მეურნეობას რადგან იგი მისთვის აღარ იქნება საჭირო.

აბა ერთი სცადეთ და ყუბანში საკოლმეურნეო კომლს მიუზომეთ მეოთხედი ჰექტარი ან თუნდაც ნახევარი ჰექტარი საკარმიდამო მიწა, კოლმეურნე მზად იქნება სერიოზულად წაგეჩხუბოს თქვენ და თავისებურად მართალიც იქნება, ნახევარ ჰექტარზე მას ხშირად მარტო ბაღი აქვს გაშენებული. იქ დღევანდლამდე საკმაოდ ბლომად მოიპოვებიან ისეთი საკოლმეურნეო კომლები, რომელთაც აქვთ ორ-ორი ჰექტარი საკარმიდამო მიწა. ეს შეუწყნარებლად ბევრია. ეს კოლმეურნეობას ასეთ კოლმეურნეებისთვის აქცევს მხოლოდ იმის საშუალებად, რომ მოტყუებით ისარგებლონ საკოლმეურნეო შეღავათებით, მაგრამ ყუბანში საკარმიდამო მიწის სიდიდის განსაზღვრა ერთი მეოთხედი ან თუნდაც ნახევარი ჰექტარით, არ შეიძლება. მაშინ საკოლმეურნეო კომლს უნდა ჩამოვართვათ ბაღის ნაწილი, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამ შემთხვევაში მას არ დარჩება მიწა ბოსტნეულის, კარტოფილის და პირუტყვისთვის ძირნაყოფის დასათესად. აქ აშკარაა საკოლმეურნეო კომლს უნდა მიეცეს ერთი ჰექტარი საკარმიდამო მიწა.

თუ ავიღებთ უზბეკისტანის რაიონებს, სადაც საკარმიდამო მიწა სარწყავია, აქ მეოთხედი ჰექტარი საკარმიდამო მიწა სავსებით საკმარისია. კოლმეურნეს შეუძლია უზრუნველყოს თავისთავი ბოსტნეულით, ნესვით „ხოლო პირუტყვი — საკვებით, მაგრამ უზბეკისტანში არის ისეთი რაიონები, სადაც საკარმიდამო მიწა არ ირწყვება. თუ თქვენ აქ საკოლმეურნეო კომლს მიუზომავთ მეოთხედ ჰექტარ საკარმიდამო მიწას, იგი ისე აღრიალდება, რომ მოსკოვშიაც გაიგონებთ. და სწორადაც მოიქცევა. აქ საჭიროა სულ ცოტა - ნახევარი ჰექტარის მიზომვა.

ავიღოთ ჩრდილოეთ მხარის ხოლმოგორის ან ვოლოგდის რაიონები. აქ ძველთაგანვე ძალიან განვითარებულია მეცხოველეობა. ამიტომ მეოთხედი ჰექტარი აქ არ არის საკმარისი საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო მიწისათვის. აშკარაა, რომ ზავოლჟიეში, სადაც გვალვიანი ჰავაა, საკოლმეურნეო კომლს უნდა მივუზომოთ ჰექტარი საკარმიდამო მიწა, ხოლო ვორონეჟის და კურსკის ოლქებში მეოთხედიდან ნახევარ ჰექტარამდე რაიონის პირობების მიხედვით.

ყოველივე ეს ამხ. სტალინის წინადადებით გაითვალისწინა დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე ყრილობამ. ყრილობამ უარყო მთელი ჩვენი ქვეყნის გაზომვა ერთი საზომით და სხვადასხვა რაიონისთვის დააწესა საკარმიდამო მიწის სხვადასხვა სიდიდე.

სანიმუშო წესდებაში ნათქვამია:

„საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში არსებული საკარმიდამო მიწის რაოდენობა (გარდა იმ მიწისა, რომელიც დაკავებულია საცხოვრებელი ნაგებობებით) შეიძლება იყოს მეოთხედ ჰექტარიდან ნახევარ ჰექტარამდე, ხოლო ცალკეულ რაიონებისათვის ერთ ჰექტარამდე ოლქის და რაიონის პირობების მიხედვით, რომლებსაც აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომები ს.ს.რ. კავშირის მიწსახკომის მითითებების საფუძველზე" („სანიმუშო წესდების" მეორე პუნქტიდან).

2. პირადი მეცხოველეობის ოდენობა საკოლმეურნეო კომლებში

საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებთან ერთად, **რაც ძირითადი და მთავარია, საჭიროა თვითეულ საკოლმეურნეო კომლში** განვითარდეს დამხმარე დამატებითი პირადი მეცხოველეობა. იგი უნდა აკმაყოფილებდეს კოლმეურნეთა პირად ინტერესს საკოლმეურნეო კომლთა პირად სარგებლობაში მყოფ პირუტყვის რაოდენობის მხრივ კიდევ უფრო მეტი მრავალფეროვნებაა რაიონებს შორის, ვიდრე საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობის მხრივ. ამ მაგალითზე ამხ. სტალინი ერთხელ კიდევ გვასწავლის ჩვენ-მეურნეობის და მმართველობის სხვადასხვა დარგების მუშაკებს—იმას, რომ ხელმძღვანელობა გავუწიოთ არა გათანაბრებითი წესით, არამედ სხვადასხვა რაიონების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ავიღოთ, რომელიც გნებავთ ის **სამიწათმოქმედო რაიონი,** სადაც მიწათმოქმედება **გადამწყვეტ როლს** თამაშობს მეურნეობაში, იქნება იგი მარცვლეულის, მექარხლეობის, მესელეობის, კართოფილ-ბოსტნეულის თუ მებამბეობის რაიონი. აქ მიწათმოქმედება კოლმეურნისაგან მოითხოვს მისი სამუშაო დროის უდიდეს ნაწილს. მიწა ამ რაიონებში ყველაზე უფრო დახნულია. სახნავად დატოვებულია მიწის დიდი ნაწილი და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი უჭირავს სათიბებსა და საძოვრებს. ამ რაიონებში საკოლმეურნეო კომლების მიერ პირუტყვის პირადი მფლობელობის ნორმა უნდა დაწესდეს უფრო ნაკლები, ვიდრე მეცხოველეობის რაიონებში. ჩვენ რომ ამ რაიონებში დაგვეწესებინა პირუტყვის პირადი მფლობელობის ის ნორმა, რომელსაც მეცხოველეობის რაიონებისათვის ვაწესებთ, მაშინ აშკარად ძირს გამოვუთხრიდით მიწათმოქმედებას და მოვსპობდით იმ ფესვს, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო არტელში იკვებება ყველაფერი — ძირითადი საზოგადოებრივი მეურნეობაც და საკოლმეურნეო კომლის დამატებითი პირადი მეურნეობაც. ამასთან ერთად საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის ნორმა მიწათმოქმედების ამ რაიონებში გადიდებულია იმასთან შედარებით, რაც გათვალისწინებული იყო წინანდელი 1930 წლის სანიმუშო წესდებით. ეს ჩვენ შეგვეძლო მიგვეღო იმიტომ, რომ გასულ წელთან შედარებით, ამჟამად განმტკიცდა საზოგადოებრივი საკუთრება — საკოლმეურნეო წარმოების საფუძველი. საკოლმეურნეო კომლების მიერ პირუტყვის პირადი მფლობელობის ნორმების ერთგვარი გადიდება ისე, რომ ეს საზიანო არ იქნეს საზოგადოებრივი წარმოებისათვის, კანონიერად დააკმაყოფილებს კეთილსინდისიერი კოლმეურნის პირად ინტერესს. აქ კოლმეურნეს შეუძლია იმ მარცვლეულისა და საკვების ხარჯზე, რომლებსაც იგი შრომა-დღეების მიხედვით ღებულობს, შეიძინოს პირუტყვით უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო წინანდელ სანიმუშო წესდებაში. ამიტომაც სამიწათმოქმედო რაიონებში თვითეული საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის საკითხზე ახალ სანიმუშო წესდებაში ნათქვამია ასე:

„**თვითეულ საკოლმეურნეო კომლს მარცვლეულის, ბამბის, ჭარხლის, სელის, კანაფის, კარტოფილ-ბოსტნეულის, ჩაის, თამბაქოს რაიონებში შეუძლია პირად სარგებლობაში ყავდეს ერთი ძროხა,** ორ სულამდე ახალგაზრდა რქოსანი პირუტყვი, ერთი დედალორი ნამატით, ან, თუ კოლმეურნეობის გამგეობა აუცილებლად დაინახავს, ორი დედალორი ნამატით, 10-მდე ცხვარი და თხა ერთად, ფრინველის და კურდღლის განუსაზღვრელი რაოდენობა და 20-მდე სკა" (სანიმუშო წესდების მე-5 მუხლიდან).

სულ სხვანაირადაა საქმე **სამიწათმოქმედო რაიონებში განვითარებული მეცხოველეობით.** ავიღოთ დასავლეთ-ციმბირის მხარის ბარაბინსკის ველის რაიონები. ეს რაიონები სამიწათმოქმედო რაიონებია. მაგრამ, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების და ადამიანთა მიერ ათეული წლების განმავლობაში შეძენილი გამოცდილების გამო, აქ მეცხოველეობაც **დიდ როლს** თამაშობს.

ესენი **არიან სასაქონლო** მეკარაქეობის ძველადვე ჩამოყალიბებული რაიონები. აქ სახნავად დატოვებულია ¼-დან ⅓-მდე მიწა, სათიბები და საძოვრები თავისი სიდიდით სჭარბობენ სახნავ მიწებს. ჩვენს ქვეყანაში ასეთი რაიონები ბევრია, უმთავრესად ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში.

ასეთ რაიონების რიცხვს, მაგალითად, კიდევ ეკუთვნის: იმავე დასავლეთ-ციმბირის მხარის ალტაის რაიონები, ომსკის ოლქის იშიმსკის და ტობოლსკის რაიონები და სხვ. ამ სამიწათმოქმედო რაიონებისათვის განვითარებული მეცხოველეობით სანიმუშო წესდება საკოლმეურნეო კომლების პირად სარგებლობაში პირუტყვის — ძროხების, ღორების, ცხვრების და თხების ნორმას ითვალისწინებს ისეთი რაოდენობით, რაც დაახლოვებით ორჯერ აღემატება იმ ძირითად სამიწათმოქმედო რაიონების ნორმას, სადაც მეცხოველეობა არ არის განვითარებული. სანიმუშო წესდებაში ნათქვამია ასე:

„**თვითეულ საკოლმეურნეო კომლს სამიწათმოქმედო რაიონებში განვითარებული მეცხოველეობით** შეუძლია ყავდეს პირად სარგებლობაში 2—3 ძროხა და გარდა ამისა, მოზარდი პირუტყვი, 2-დან 3-მდე დედალორი ნამატით, 20-დან 25-მდე ცხვარი და თხა ერთად, ფრინველი და კურდღელი განუსაზღვრელი რაოდენობით და 20-მდე სკა. ამ რაიონების რიცხვს ეკუთვნიან, მაგალითად, კაზაკსტანის სამიწათმოქმედო რაიონები, რომელნიც არ არიან სამომთაბარო რაიონების მომიჯნენი, ბელორუსიის და უკრაინის ჩერნიგოვის და კიევის ოლქების პოლესიის რაიონები, ბარაბინსკის ველის და დასავლეთ-ციმბირის მხარის ალტაის რაიონები, ომსკის ოლქის იშიმსკის და ტობოლსკის რაიონთა ჯგუფები, ბაშკირეთის მთიანი ნაწილი, აღმოსავლეთ-ციმბირის აღმოსავლეთი ნაწილი, შორეულ აღმოსავლეთის მხარის სამიწათმოქმედო რაიონები, ჩრდილოეთის მხარის რაიონთა ვოლოგდის და ხოლმოგორსკის ჯგუფები" (სანიმუშო წესდების მე-5 მუხლიდან).

სასოფლო-სამეურნეო არტელის ძველ სანიმუშო წესდებაში ეს სამიწათმოქმედო რაიონები განვითარებული მეცხოველეობით არ იყვნენ გამოყოფილნი ცალკე ჯგუფად. ეს ძველი სანიმუშო წესდების დიდი ნაკლი იყო, რაც ახლა გამოსწორებულია.

სხვანაირი მდგომარეობაა კაზაკსტანის მეცხოველეობის რაიონებში, რომელიც სამომთაბარო რაიონების მომიჯნეა, კალმიკთა ველებზე, ჩრდილო კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკების მთიან რაიონებში, აგრეთვე ამიერ-კავკასიის მოკავშირე რესპუბლიკებში, ხაკასიაში და ზოგიერთ სხვა რაიონში. ხაკასიაში სახნავი მიწები მთელი მიწის ერთ მეექვსედ ნაწილს ძლივს შეადგენენ. აქ სახნავი მიწა სათიბებზე და საძოვრებზე რამდენჯერმე ნაკლებია. მიწათმოქმედებას მცირეოდენი დამხმარე მნიშვნელობა აქვს. გადამწყვეტ როლს თამაშობს მეცხოველეობა. იქ არის მრავალი კოლმეურნეობა ნახევრად სამომთაბარო მეცხოველეობით. კავკასიის მთიან რაიონებში, მაგალითად, როგორც წესი, კოლმეურნეობები და კოლმეურნეები ზამთრობით პირუტყვს მიერეკებიან თავის სოფლებისაკენ, ხოლო გაზაფხულიდან შემოდგომის დამლევამდე თავისი პირუტყვი მომთაბარეობენ კავკასიონის ქედის საუცხოვო საძოვრებზე. ამ რაიონებისთვის საკოლმეურნეო კომლის პირად მფლობელობაში ცხვრების და ძროხების ნორმა დაწესებულია დაახლოებით ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე სამიწათმოქმედო რაიონებისათვის განვითარებული მეცხოველეობით.

სანიმუშო წესდებაში ნათქვამია:

„**თვითეულს საკოლმეურნეო კომლს არასამომთაბარო და ნახევრად სამომთაბარო მეცხოველეობის რაიონებში, სადაც მიწადმოქმედებას მცირეოდენი მნიშვნელობა აქვს, ხოლო მეცხოველეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს მეურნეობაში,** შეუძლია პირად სარგებლობაში ჰყავდეს ოთხიდან ხუთ ძროხამდე და, გარდა ამისა, მოზარდი პირუტყვი 30-დან 40-მდე ცხვარი და თხა ერთად, ორიდან სამამდე დედალორი ნამატით, ფრინველი და კურდღელი განუსაზღვრელი რაოდენობით, 20-მდე სკა, აგრეთვე თითო ცხენი ან კუმისის მომცემი თითო ჭაკი ცხენი, ან ორი აქლემი, ან ორი ვირი, ან ორი ჯორი. ამ რაიონთა რიცხვში შედიან, მაგალითად: კაზაკსტანის მეცხოველეობის რაიონები, კაზაკსტანის სამომთაბარო რაიონების მომიჯნე მეცხოველეობის რაიონები თურქმენისტანისა, ტაჯიკისტანისა, კარა-კალპაკის და ყირგიზეთისა, ოიროტია, ხაკასია, ბურიათ-მონღოლეთის დასავლეთი ნაწილი, კალმიკთა ავტონომიური ოლქი. დაღესტანის ა.ს.ს. რესპუბლიკის, ჩრდილო-კავკასიის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალკარიის, ყარაჩაის და ოსეთის ავტონომიურ ოლქების მთიანი რაიონები, აგრეთვე აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ს.ს. რესპუბლიკების მთიანი რაიონები" („სანიმუშო წესდების" მე-5 პუნქტიდან).

და, ბოლოს, ავიღოთ **კაზაკსტანის ბურიათ-მონღოლეთის სამომთაბარო რაიონები,** ნაგაისკის რაიონი, აქაც აგრეთვე სრულიად სხვანაირი მდგომარეობაა. კაზაკსტანის სამომთაბარო რაიონებში სახნავი მიწა შეადგენს გამოყენებული მიწის 2 პროცენტზე ნაკლებს, სათიბები კი შეადგენენ გამოყენებული მიწის მხოლოდ 2 პროცენტს. მიწის უდიდესი ნაწილი საძოვრებს უკავია. აქ მიწათმოქმედებას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო მეცხოველეობა მეურნეობის ყოვლის შემცველ ფორმას წარმოადგენს. კოლმეურნეები აქ იძულებული არიან ყველა სასურსათო პროდუქტი, გარდა ხორცისა, იყიდონ სხვაგან. აშკარაა, რომ მათთვის არ გამოგვადგება ისეთივე საზომი, როგორიც გამოსადეგია სამიწათმოქმედო ან თუნდაც ნახევრად სამომთაბარო მეცხოველეობის რაიონების მიმართ. აქ საჭიროა თავისი საზომი. თუ ჩვენ გვინდა გამოვასწოროთ შეცდომები, რომლებსაც ამ სამომთაბარო რაიონებში ხშირად ჩადიოდენ ადგილობრივი ამხანაგები, ცდილობდენ რა მომთაბარეების გადაყვანას ბინადრობაზე სამიწათმოქმედო ბაზის და საბინადრო სადგომების წინასწარ მოუმზადებლად. ამ რაიონებში საკოლმეურნეო კომლებისათვის დაწესებულია ძროხების პირადი მფლობელობის ორჯერ უფრო დიდი ნორმა, ვიდრე არასამომთაბარო და ნახევრად-სამომთაბარო მეცხოველეობის რაიონებისთვის, ხოლო ცხვრების და თხების ნორმა 3—4 ჯერ უფრო დიდიცკი. გარდა ამისა, აქ ნებადართულია, რომ საკოლმეურნეო კომლს პირად სარგებლობაში ჰყავდეს ათამდე ცხენი, ხუთიდან რვამდე აქლემი. სამომთაბარო რაიონებში **ცხენი და აქლემი** უმთავრესად შეადგენენ მომთაბარის **ხალხურ მეურნეობის ნაწილს** (კიბიტკა (თავდახურული ურემი), რომელიც განუწყვეტლივ გადადის კაზაკსტანის გვალვიანი ველების უსაზღვრო სივრცეზე). სწორედ ამიტომ სანიმუშო წესდებაში ნათქვამია:

„**თვითეულ საკოლმეურნეო კომლს სამომთაბარო მეცხოველეობის რაიონებში, სადაც მიწათმოქმედებას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო მეცხოველეობა მეურნეობის ყოვლისშემცველ ფორმას წარმოადგენს,** შეუძლია ჰყავდეს პირად სარგებლობაში რვიდან ათამდე ძროხა და, გარდა ამისა, მოზარდი პირუტყვი, ასიდან ასორმოცდაათამდე ცხვარი და თხა ერთად, ფრინველი განუსაზღვრელი რაოდენობით, ათამდე ცხენი და ხუთიდან რვამდე აქლემი ამ რაიონთა რიცხვს ეკუთვნიან, მაგალითად: კაზაკსტანის სამომთაბარო რაიონები, ნაგაისკის რაიონი, ბურიათ-მონღოლეთის სამომთაბარო რაიონები" (სანიმუშო წესდების" მე-5 პუნქტიდან).

ახლა განსაკუთრებულად **ფრინველის და კურდღლების შესახებ.** კურდღლის და ფრინველის პირადი მფლობელობის რაოდენობის არავითარ შეზღუდვას ახალი სანიმუშო წესდება არ სახავს არც ერთ რაიონში. ჩვენ უარს ვამბობთ იმაზე, რომ ვითვალოთ რამდენი ფრინველი და კურდღელი მოაშენა კოლმეურნე ქალმა, — დეე, მოაშენოს, რაც შეიძლება მეტი—ეს მხოლოდ სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს, კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და მუშებს.

მაშასადამე, მეცხოველეობის განვითარების საქმე სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ სანიმუშო წესდებაში შემდეგნაირადაა:

სანიმუშო წესდება ითვალისწინებს, თვითოეული არტელის მოვალეობას — მოაწყოს მეცხოველეობის შერეული სასაქონლო ფერმა, ხოლო, თუ მას დიდი რაოდენობით მოეპოვება პირუტყვი, მეცხოველეობის რამდენიმე სპეციალიზირებული სასაქონლო ფერმა.

სანიმუშო წესდება უფლებას იძლევა, რომ იმ კოლმეურნეობებში, სადაც არის მეცხოველეობის მსხვილი ფერმები და სადაც მოიპოვება მიწის საკმაო რაოდენობა, მიამაგრონ ფერმებს მიწის სპეციალური ნაკვეთები საკვები კულტურების დასათესად, კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად, რაც მთავარია, სანიმუშო წესდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებისათვის ითვალისწინებს **მტკიცედ განსაზღვრული ოდენობით** საკოლმეურნეო **კომლში** პირუტყვის **პირადი მფლობელობის ნორმებს.**

თვითეული რაიონი იპოვის თავის თავს ამ სანიმუშო წესდებაში. ამაშია სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების ძალა.

3. კოლმეურნეთა პირადი საჭიროებისათვის ცხენების გამოყენების შესახებ

თითქმის ყველა არტელში ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კოლმეურნის მიერ თავისი პირადი საჭიროებისათვის საზოგადოებრივი ცხენის გამოყენების საკითხი. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების პროექტი, რომელიც შეტანილი იყო კოლმეურნეთა ყრილობის განსახილველად, ავალებდა არტელის გამგეობებს გამოეყოთ აუცილებლობის შემთხვევაში რამდენიმე ცხენი კოლმეურნეთა პირადი საჭიროების მომსახურებისათვის. თითქოს აქ საქმე სავსებით ნათელია: თუ ავად გახდა ვინმე კოლმეურნის ოჯახში, ანდა ბაზარში მოუნდა მას წასვლა, საჭიროა ამისთვის მიიღოს ცხენი გამგეობაში.

ვთქვათ საჭიროა ქორწილის გადახდა — ხომ არ შეიძლება არ გაასეირნო ცხენებით ახლად შეუღლებულნი და სტუმრები. ამის წინააღმდეგ არავის არაფერი უთქვამს ყრილობის ტრიბუნიდან, მაგრამ კერძო საუბარში დელეგატებს შორის ამ საკითხზე დიდი დავა იყო. ზოგი დაახლოებით ასე ამბობდა: დეე მან (ე. ი. კოლმეურნემ), თუ მას ჰპირდება ცხენი ბაზარში წასასვლელად, იქირაოს იგი ვისგანაც სურს; თუნდაც ერთპიროვნულ მეურნისაგან, რატომ უნდა ვათხოვო მე მას საზოგადოებრივი ცხენი?, ხოლო ბევრი არაფერს ამბობდა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ასე იქცევიან. ეს არ არის სწორი. ასეთ ადამიანებს ჩვენ უნდა გავუსწოროთ, რომ ტყვილა-უბრალოდ არ გააჯავრონ კოლმეურნე. მაგრამ ჩვენ აგრეთვე ერთბაშად უნდა დავარტყათ იმ ადამიანებსაც, რომლებიც მზად არიან გაიგონ ახალი სანიმუშო წესდება ასე მარტივად: ისეირნეთ საზოგადოებრივი ცხენებით ვისაც გსურთ და როცა გსურდეთ თესვის კამპანიის დროსაც და მოსავლის აღების დროსაც. ჩვენ აქ ერთსადაიმავე დროს ორ ფრონტზე ვურტყამთ.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ცხენების ტყვილა-უბრალოდ ხედნა ყრილობამ მიიღო შესწორება, რომელმაც კარგად განმარტა საქმე: შესწორება მდგომარეობდა იმაში, რომ ცხენი პირადი სარგებლობისათვის ეძლევათ **ქირით.** ეს ნიშნავს: თუ კოლმეურნეს უნდა წავიდეს ბაზარში ანდა გადაიხადოს ქორწილი: კეთილ ინებე, მიიღე საზოგადოებრივი ცხენი შენს სარგებლობაში. მაგრამ იმისათვის, რომ **ანგარიში იყოს** და ცხენები ტყვილა - უბრალოდ არ აჭირითონ, რომ არ მოხდეს ისე, რომ ზოგიერთმა უზრდელმა ან თავმჯდომარის ნათლიმამამ დღეგამოშვებით ისეირნოს საზოგადოებრივი ცხენებით სრულიად უსარგებლოდ, ხოლო იმან კი, ვინც უფრო თავდაბალია წელიწადში ერთხელაც ვერ ისარგებლოს ცხენით, მიუხედავად მწვავე საჭიროებისა, — სანიმუშო წესდება ითვალისწინებს ქირას საზოგადოებრივი ცხენებით სარგებლობისათვის. თავისთავად ცხადია, რომ ქირა ცხენებით სარგებლობისათვის უნდა იყოს ზომიერი ან ნატურით ანდა ფულით, როგორც ეს უფრო მოსახერხებელია კოლმეურნეებისათვის ამათუიმ რაიონში. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში ამ საკითხზე ნათქვამია ასე:

„განსაზოგადოებული მუშაპირუტყვიდან არტელის გამგეობა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს რამდენიმე ცხენს იმისათვის, რომ მომსახურება გაუწიოს ქირით არტელის წევრთა პირად საჭიროებებს" (სანიმუშო წესდების მე-4 მუხლიდან).

აი, როგორ სწყვეტს სანიმუშო წესდება კოლმეურნის საზოგადოებრივი და პირადი ინტერესის შეფარდების საკითხს პირადი საჭიროებისათვის საზოგადოებრივი ცხენებით სარგებლობის მაგალითზე.

4. არტელის განუყოფელი ფონდების შესახებ

მეოთხე მნიშვნელოვანი საკითხი, სადაც სანიმუშო წესდება იხილავს არტელში საზოგადოებრივი და პირადი ინტერესის თანა-შეფარდებას —ეს არის კოლმეურნეობის განუყოფელ ფონდებში ყოველწლიური ანარიცხების ოდენობის საკითხი: მანქანების შესაძენად, ვალების გადასახდელად სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით, მასალების შესაძენად ახალი მშენებლობებისათვის, —და ამიტომ ამ საკითხზე თავდაპირველად დიდი დავა გაჩაღდა კოლმეურნეობათა ბევრ თავმჯდომარეებთან. საქმე ისაა, რომ სანიმუშო წესდება ითვალისწინებს განუყოფელი ფონდების შესავსებად წლიური ანარიცხების განსაზღვრას არტელის ფულადი შემოსავლის 10 პროცენტიდან, მაგრამ არა უმეტეს 20 პროცენტისა. ეს იმაზე ნაკლებია, რასაც ჩვეულებრივ ახლა რიცხავენ კოლმეურნეობებში მშენებლობისა და მანქანების შესაძენად. ამხ. კოროტკოვის მაგალითიდან, რომელთანაც მე მომიხდა დავა ყრილობაზე, ყველაზე უკეთ ჩანს, თუ რაშია აქ საქმე. ამხ. კოროტკოვი, ჩვენი ქვეყნის ერთერთი საუკეთესო კოლმეურნეობის თავმჯდომარე — საკოლმეურნეო წარმოების გამოცდილი ხელმძღვანელია. მისმა კოლმეურნეობამ შარშან არტელის ფულადი სახსრების დიდი ნაწილი გამოიყენა მშენებლობისათვის, მანქანებისა და კვიცის შესაძენად. ააშენა მან მართლაც ძალიან ბევრი რამ, მაგრამ მას არასგზით არ სურს შეიგნოს, რომ არ გამოუვიდა კარგად, როცა არტელის ფულადი შემოსავლის დიდი ნაწილი მან მოახმარა მშენებლობას, ხოლო კოლმეურნეს შრომადღეზე მისცა მხოლოდ 37 კაპ.

ჩვენ გვესმის, თუ რა უნდათ ასეთ ადამიანებს. ჩვენ ისინი გვიყვარს იმისათვის, რომ ეს ისეთი ადამიანებია, რომლებიც მზად არიან მთელი სიცოცხლე შესწირონ საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესებს. ასეთ ადამიანებს წინ მიყავთ საზოგადოებრივი საქმე.

მაგრამ მით უფრო **ვალდებული ვართ ჩვენ გავაფრთხილოთ ეს ხალხი:** ნუ გადახრით, ნუ გარბიხართ წინ, საზოგადოებრივი ინტერესი შეათავსეთ კოლმეურნეების პირად ინტერესებთან. სანიმუშო წესდებამ უთხრა ყველა კოლმეურნეს: საზოგადოებრივი მშენებლობის საქმეში ჩვენ თქვენ გზღუდავთ ფულადი ხარჯების 20 პროცენტით, ჩვენ ამას ჩავდივართ იმიტომ, რომ გვინდა ვაშენოთ თავლებიც, კლუბებიც, საძროხეებიც (მაგრამ არ არის სავალდებულო ყველაფრის ერთ წელიწადში აშენება) და ამავე დროს უზრუნველვყოთ კოლმეურნის არა მარტო ნატურალური, არამედ აგრეთვე ფულადი შემოსავლის ზრდა. ხოლო თუ თქვენ, ძვირფასო თავ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობის შედეგები

ამხ. ი. ა. იაკოვლევის მოხსენების გაგრძელება

მჯდომარეებო, გინდათ აშენოთ უფრო მეტი — აშენეთ! ეს გზა თქვენ არა გაქვთ დახშული; მიაღწიეთ იმას, რომ ფულადი შემოსავალი არტელში გაიზარდოს, გაიჩინეთ მეურნეობის დამხმარე დარგები, მეტი საქონელი დაამზადეთ, მეტი საქონელი გაყიდეთ. მაშინ არტელის ფულადი შემოსავლის ათი-ოცი პროცენტი უკვე აღარ იქნება ცოტა, მაშინ გეყოფათ ფული თავლების ასაგებადაც და შრომა - დღეებზე გასანაწილებლადაც.

აი სწორედ ამიტომ სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება ამბობს, რომ მიღებული შემოსავლიდან არტელი:

„ავსებს არტელის განუყოფელ ფონდს სასოფლო - სამეურნეო იარაღების და პირუტყვის საყიდლად, საშენი მასალის შესაძენად და იმ მუშებისათვის ანგარიშის გასასწორებლად, რომლებიც გარედან დაქირავებული არიან მშენებლობაზე სამუშაოდ, სასოფლო-სამეურნეო ბანკში გრძელვადიანი კრედიტების მორიგი შესატანის გადასახდელად, ამასთან გადარიცხვა განუყოფელ ფონდების შესავსებად ხდება არტელის ფულადი შემოსავლის 10 პროცენტიდან, მაგრამ არა უმეტეს 20 პროცენტისა" („სანიმუშო წესდების" მე-12 პუნქტიდან, ქვეპუნქტი „ე").

ამგვარად, განუყოფელ ფონდებში გადარიცხვის მხრივ სანიმუშო წესდება ახდენს საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეთავსებას ისე, რომ სავსებით უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ ამასთან ერთად ამან არ გამოიწვიოს ზედმეტი და უსარგებლო დავა კოლმეურნეებთან, კოლმეურნეების ზიზღი და არასაჭირო უკმაყოფილება.

მოხსენების ამ ნაწილის დასასრულს მე მინდა აღვნიშნო აი რა. რატომ შეძლეთ ჩვენ წავსულიყავით 1935 წელს საკოლმეურნეო კომლის პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის რამდენადმე გადიდებაზე? ამ კითხვაზე პასუხი სავსებით ნათელია, ჩვენ შევძელით წავსულიყავით ამაზე სახელდობრ იმიტომ, რომ განმტკიცდა საკოლმეურნეო წარმოების საზოგადოებრივი საფუძველი — **განმტკიცდა საკოლმეურნეო საზოგადოებრივი საკუთრება.** 1930 წელს რომ ჩვენ დაგვეწესებია საკოლმეურნეო კომლისთვის პირუტყვის პირადი მფლობელობის ისეთი ნორმა, რომელსაც სანიმუშო წესდება აწესებს ამჟამად, ჩვენ დავღუპავდით კოლმეურნეობებს ბევრი აღარავინ მოისურვებდა საზოგადოებრივ სამუშაოზე გასვლას. **სულ სხვა საქმეა — ახლა.** კოლმეურნეობები განმტკიცდნენ, ფეხზე დადგნენ. შემოსავლის მჭამელებზე განაწილებიდან გადავიდნენ შემოსავლის შრომადღეების მიხედვით განაწილებაზე, კოლმეურნეთა ძირითადმა მასამ შეიგნო, რომ **უკან** ერთპიროვნულ მეურნეობისაკენ გზა აღარ არის. მოწინავე კოლმეურნეების დახმარებით **ჩვენ დავიცავით საკოლმეურნეო საკუთრება კულაკობის იერიშისაგან 1932 წელს,** კოლმეურნეთა მილიონები საკუთარი ცხოვრების მაგალითზე, დარწმუნდნენ, რომ მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა, თუ პატიოსნად იმუშავებს, უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე ერთპიროვნული მეურნეობა. კოლმეურნეთა მილიონების შეგნებაში შთაინერგა იმის გაგება, რომ საზოგადოებრივი საკუთრება წმინდათა-წმინდა და ხელშეუხებელია.

აი რატომ გახდა სწორედ ახლა შესაძლებელი დაგვეშვა საკოლმეურნეო კომლების პირად მფლობელობაში არსებული პირუტყვის რაოდენობის ერთგვარი გადიდება, მაგრამ მტკიცედ განსაზღვრული ფარგლებში, სხვადასხვა რაიონის პირობებთან შეფარდებით.

და, ბოლოს, კიდევ ერთი პრაქტიკული საკითხი. სანიმუშო წესდებამ უფლება მიანიჭა თვითეულ საკოლმეურნეო კომლს იყოლიოს პირად მფლობელობაში პირუტყვის განსაზღვრული რაოდენობა: თვითეულ კოლმეურნეობას შეუძლია გამოიანგარიშოს რამდენი მარცვლეულია ამისთვის საჭირო, ხოლო საიდან უნდა აიღოს ეს მარცვლეული? პირუტყვის გამოკვებისათვის სერიოზული წყაროა მხოლოდ-მხოლოდ საზოგადოებრივი საარტელო მეურნეობა. სანიმუშო წესდება ეუბნება კოლმეურნეს: „შენ გინდა გყავდეს ღორი გოჭებით, — წესდება შენ ხელს გიწყობს — მოაშენე! მაგრამ წინდაწინვე გაითვალისწინე, რომ ამას შენ მიაღწევ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **განამტკიცებ საზოგადოებრივ მეურნეობას.** თუ, მაგალითად, გამოიმუშავებ არა ორას შრომადღეს, როგორც გასულ წელს, არამედ სამასს. თუ შრომადღეზე მიიღებ არა 3-5 კილოგრამ პურს, როგორც გასულ წელს, არამედ 8-10 კილოგრამს.

ეს კარგად უნდა დაიხსომოს იმ ხალხმა, რომელიც კოლმეურნეობაში ღებულობს 3-5 კილოგრამ პურს შრომადღეზე და ამის შემდეგ მთელ რაიონს აყრუებს ყვირილით: ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენ მივიღეთ სამი კილო შრომადღეზე. იმას კი არ ფიქრობენ ისინი, რომ სამი კილო საკმარისია ოჯახის წევრების გამოსაკვებად, მაგრამ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უზრუნველყონ საკვებით ღორები და ფრინველი.

მაშასადამე, რომელი მხრიდანაც არ უნდა მიუდგე საკოლმეურნეო საქმეს, კოლმეურნის საზოგადოებრივი და კერძო ინტერესის რომელი საკითხიც უნდა განიხილო, **პირველ ყოვლისა უნდა გახსოვდეს საზოგადოებრივი მეურნეობა, პირველ ყოვლისა უნდა განამტკიცო საზოგადოებრივი საკუთრება, თვალისჩინივით გაუფრთხილდე მას, პატიოსნად იმუშაო, — აქ არის კოლმეურნის შეძლებული და კულტურული ცხოვრების საფუძველი, აქ არის მისი კეთილდღეობის წყარო.**

IV არტელის წევრობის შესახებ

1. შეუგნებელნი გავხადოთ შეგნებულებად

არიან შეუგნებელი კოლმეურნეები. მათში ჯერ კიდევ გუშინდელი ერთპიროვნული გლეხი მტკიცედ ზის. ისინი უხალისოდ მუშაობენ. ისინი არ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. ბრიგადირმა თუ არ შეამჩნია ისინი მზად არიან გააცდინონ სამუშაო დღე. როგორ მოვექცეთ მათ? ხშირად ასეთ ადამიანებს ერთბაშად აძევებენ კოლმეურნეობებიდან. ფაქტია, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებიდან გამორიცხული არიან ასი ათასობით კოლმეურნეები. მათ შორის ნაწილი კოლმეურნეობათა გაუსწორებელი მტრებისაგან შესდგება, მაგრამ ნაწილს კი შეადგენენ შეუგნებელი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ შეჩვევიან საზოგადოებრივ შრომას. განა სწორი იქნება რომ ჩვენ ეს შეუგნებელი ადამიანები ერთბაშად გავაგდოთ კოლმეურნეობებიდან. ისე, რომ არ ვცადოთ მათი გამოსწორება? რასაკვირველია არ იქნება სწორი.

მოხელის თვალსაზრისით კოლმეურნეობიდან ნაკლებად შეგნებული პირის ერთბაშად განდევნა უფრო ადვილია, ვიდრე მისი გამოსწორება. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიდეთ მოხელეური ხელსაყრელობის ინტერესებიდან.

ჩვენ ვალდებული ვართ მოვაგონოთ კოლმეურნეობათა ბევრ იმ კარგ თავმჯდომარეთ, რომლებმაც ნაკლებად შეგნებულ კოლმეურნეთა მიმართ იციან მხოლოდ ერთი საშუალება — გარიცხვა. ჩვენ მოვალე ვართ მოვაგონოთ მათ იმის შესახებ, რომ სულ ოთხი-ხუთი წლის წინ თვითონ ისინი იყვნენ ერთპიროვნული გლეხები. რომ ოთხი-ხუთი წლის მანძილზე საკოლმეურნეო წყობილებამ ისინი გადააქცია საკოლმეურნეო საქმისათვის მოწინავე მებრძოლებად. მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს რომ ოთხი-ხუთი წლის წინათ ახლანდელი მოწინავე კოლმეურნენი უიმედო ადამიანებად ჩაეთვალა, ახლა ჩვენ არავითარი კოლმეურნეობა არ გვექნებოდა. მაშასადამე, ახლანდელმა მოწინავეებმაც კოლმეურნეობებში მეტი მოთმინება უნდა გამოიჩინონ შეუგნებლებისადმი, უნდა შეეცადონ მათ გამოსწორებას. უნდა ჩააგონონ მათ, თუ როგორ არის საჭირო მუშაობა კოლმეურნეობაში, ხოლო თუ არაფერი გამოვა — მიმართონ [illegible] ღონისძიებებს და მხოლოდ უიმედო და **გამოუსწორებელი ელემენტები გარიცხონ.**

ჯერ კიდევ ნაკლებად შეგნებულ კოლმეურნეთა მილიონებიდან, — თუ ვიმუშავებთ ლენინურად, სტალინურად, — ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ და შევქმნით სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ მონაწილეებს. საჭიროა მხოლოდ შევიგნოთ. რომ ამის ერთბაშად გაკეთება არ შეიძლება. ერთპიროვნული მეურნეობა ათასწლობით არსებობდა კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა. მხოლოდ ხუთი წელია არსებობს როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველა ახლანდელი კოლმეურნე უკვე გახდა სოციალისტური საზოგადოების შეგნებული მონაწილე? ცხადია, რომ აქ კიდევ მრავალი წლის მუშაობაა საჭირო, რომ გარდავქმნათ ეს ადამიანები, ხოლო აქ თუ ვიმოქმედეთ მხოლოდ კოლმეურნეობიდან გარიცხვის წესით, საქმეს მხოლოდ გავაფუჭებთ.

აი ჩაგონების და გამოსწორების, და ბოლოს, ზღვევინების და სასჯელის ასეთი ზომების მიღებას მოითხოვს სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება იმ კოლმეურნეთა მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ ნაკლებად შეგნებულნი არიან:

„საზოგადოებრივი ქონებისადმი უყაირათო, დაუდევარი დამოკიდებულებისათვის, საპატიო მიზეზის წარმოუდგენლად სამუშაოზე გამოუსვლელობისათვის, არაკეთილსინდისიერად მუშაობისათვის. შრომის დისციპლინის და წესდების სხვა დარღვევისათვის გამგეობა დამნაშავეებს ადებს სასჯელს შინაგანი განაწესის თანახმად. მაგალითად: ხელახლა გადააკეთოს (ცუდად შესრულებული სამუშაო შრომა - დღეების დარიცხვად; გაფრთხილება. საყვედური, გაკიცხვა საზოგადო კრებაზე, შავ დაფაზე შეტანა. ჯარიმა ხუთ შრომა - დღემდე. დაბალ სამუშაოზე გადაყვანა. სამუშაოდან დროებით გადაყენება.

(„სანიმუშო წესდების" მე-17 მუხლიდან.)

2. კოლმეურნეობიდან გარიცხვის შესახებ

მაგრამ აღმოჩნდებიან ისეთი კოლმეურნეები, რომელთა გამოსწორება არ შეიძლება. აღმოჩნდებიან ისეთი კოლმეურნეები. რომელთაც ვერ გამოასწორებს ვერც გაკიცხვის საზოგადოებრივი ზომები, ვერც გაკიცხვა არტელის ყველა პატიოსანი წევრების მიერ, ვერც ჯარიმა, ვერც დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა. იძულებული ვიქნებით ასეთი **გაუსწორებელი გავრიცხოთ** არტელის შემადგენლობიდან. ამის შესახებ სასოფლო სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში ასეა ნათქვამი:

„იმ შემთხვევაში, როცა არტელის მიერ მიღებული აღმზრდელობითი და სასჯელის ზომები არ გასჭრის, არტელის გამოუსწორებელ წევრთა შესახებ, საზოგადო კრების წინაში ისმება საკითხი მათი არტელიდან გამორიცხვის შესახებ".

(„სანიმუშო წესდების" მე-17 მუხლიდან).

მაგრამ სანიმუშო წესდება რომ დაკმაყოფილებულიყო მარტო ამით და არ დაეწესებია, თუ რა წესით უნდა ხდებოდეს კოლმეურნეობებიდან გარიცხვა, ის მხოლოდ ნახევარ საქმეს გააკეთებდა. იქ, სადაც საქმე ეხება ათასობით ცოცხალ ადამიანების ბედს, საჭიროა დამყარდეს საერთო წესი — ჯერ ჩააგონე, შემდეგ დასაჯე, ხოლო თუ არც ერთი ეს არ გასჭრის, შემდეგ გარიცხე! საჭიროა გათვალისწინებული იქნეს დაწვრილებით ყველა წესი, თუ როგორ ჩატარდეს გარიცხვა, რათა ადგილი არ ექნეს ბოროტმოქმედებას. მე დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე მოვიყვანე იმის მაგალითი თუ როგორ გარიცხეს კოლმეურნეობა **„ჩერვონა ბერეზინადან"** კოლმეურნე ივანე შპაკი თავმჯდომარის გაკრიტიკებისათვის და ამასთან ოქმში ჩასწერეს: „გარიცხული იქნის ის არაკეთილსინდისიერი მუშაობისათვის, სხვადასხვა ხრიკისათვის ამათუიმ პიროვნების ჩირქის მოცხების მიზნით". ხომ ხედავთ რანაირი შემთხვევებს აქვს ადგილი! ჩვენი ქვეყანა დიდია და ჩამორჩენილობაც კიდევ დიდია. ხოლო ხშირად ასეც ხდება: დაადგენს კოლმეურნეობის თავმჯდომარე: „გარიცხულ იქნეს" და გათავდა; დაადგენს **სოფლის საბჭო:** „გარიცხულ იქნეს კოლმეურნეობიდან" — და გათავდა; დაადგენს რაიკომი: „გარიცხულ იქნეს კოლმეურნეობიდან" და გათავდა!

ჩვენში 240 ათასი კოლმეურნეობაა. კოლმეურნეობებში სხვადასხვანაირი ხალხია, მაშასადამე, საჭიროა მტკიცე წესები იმისათვის, რომ ჩვენში ხალხმა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივი საქმე არ ჩათვალოს თავის ოჯახურ საქმედ. აი კოლმეურნეობიდან გარიცხვის რა წესი დაამყარა ყველასათვის სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებამ.

არტელის შემადგენლობიდან წევრის გარიცხვა შეუძლია მხოლოდ არტელის წევრთა საერთო კრებას. არტელის შემადგენლობიდან **გარიცხვა.** რომელიმე **სხვა ორგანოს** მიერ, იქნება ის კოლმეურნეობის გამგეობა. სოფლის საბჭო. რაი-აღმასკომი თუ რაიკომი. ან მხარის რწმუნებული — არ შეიძლება.

თუ რომელიმე სხვა ორგანო არტელის წევრთა საერთო კრების გარეშე გამორიცხავს ვინმეს არტელიდან, ხელმძღვანელები დამნაშავენი იქნებიან **ძალაუფლების გადამეტებაში,** საბჭოთა კავშირის კანონების დარღვევაში.

მაგრამ ეს ცოტაა. ვინმეზე დადგენილებაში წერია. რომ ის გარიცხა „საერთო კრებამ", ხოლო სინამდვილეში ირკვევა, რომ მის გარიცხვაში არტელის წევრების ერთი მეათედი ნაწილიც არ ღებულობდა მონაწილეობას. ესეც არ ვარგა. ადამიანებს. რომლებიც ერთი მეორეს ახლოს ცხოვრობენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, პირადი ანგარიშები იმდენი აქვთ, რამდენიც გნებავთ. ამიტომაც სანიმუშო წესდება მოითხოვს, რათა საერთო კრებას, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას კოლმეურნეობიდან გარიცხვის შესახებ, ესწრებოდეს არტელის წევრთა **ორ მესამედზე** არანაკლები.

ჩვენ რევოლუციის პირველ წლებში გვქონდა კარგი ჩვეულება: თვითეული კრების ოქმში იწერებოდა რამდენი კაცი ესწრებოდა და რამდენმა კაცმა მიიღო რეზოლუცია არ იქნებოდა ცუდი ამ ჩვეულების განახლება.

ზოგჯერ ოქმში წერენ, რომ კრებას ესწრებოდა ორი მესამედი. **საჭიროა ასეთ** შემთხვევაში შემოწმებული იქნეს მართლაც ესწრებოდა თუ არა ორი მესამედი. ან იქნებ ეს მხოლოდ მოეჩვენა კრების მდივანს? სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება ითვალისწინებს, რომ ოქმში გარიცხვის შესახებ ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული **რამდენი კოლმეურნე** ესწრებოდა კრებას.

ესეც ცოტაა. შესაძლებელია ასეც მოხდეს: კრების დაწყებისას მართლაც ორი მესამედი ესწრება, საკითხი გარიცხვის შესახებ თავმჯდომარემ გადადო კრების ბოლოსთვის, როცა წევრების მეოთხედი ნაწილი დარჩა, რომ ეს ასე არ მოხდეს, სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება მოითხოვს, რომ დადგენილებაში გარიცხვის შესახებ ზუსტად იქნეს ჩაწერილი **ხმის მიმცემთა რიცხვი.**

სანიმუშო წესდება ითვალისწინებს გარიცხულის უფლებას გაასაჩივროს თავისი არტელის გადაწყვეტილება მისი გამორიცხვის შესახებ საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტში; რომელიც საბოლოოდ სწყვეტს საკითხს. რაიაღმასკომების ზოგიერთ თავმჯდომარეს ცოტათი კიდეც სწყენთ ეს გადაწყვეტილება: აქაო და ისინი დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეს აკეთებენ, ამტკიცებენ კოლმეურნეობათა თესვის გეგმას, ასწორებენ გარღვევებს, აქ კი საკოლმეურნეო წესდება, დამტკიცებული სახკომსაბჭოს და საკ.კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტის მიერ მოითხოვს რაი-აღმასკომის პრეზიდიუმისაგან კოლმეურნეობიდან გარიცხულის თვითეული საჩივრის განხილვას, ამასთან არა ქაღალდის, არა რაიმიწგანის მუშაკის საშუალებით, არამედ უშუალოდ არტელის თავმჯდომარისა და მომჩივანის თანდასწრებით!

რასაკვირველია, ის თავსამტვრევი საქმეა ბევრი რაიაღმასკომისათვის, მაგრამ ამასთან ერთად ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეა. აქ ხომ ადამიანის ბედი წყდება, გარდა ამისა თუ დაწვრილებით ჩასწვდება იმას, თუ, რატომ გარიცხეს ესა თუის კაცი, არტელიდან, ზოგჯერ **რაიაღმასკომის პრეზიდიუმი შეძლებს გაიგოს სიმართლე არტელის ნამდვილი მდგომარეობის** შესახებ **ხუთი დღის** განმავლობაში და არა ერთი თვის შემდეგ—გარღვევის შემდეგ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე;

ამიტომაც საკითხი იმის შესახებ, თუ, როგორ მოხდეს კოლმეურნეობებიდან გარიცხვა, სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში ასე არის ნათქვამი:

„არტელიდან გამორიცხვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ არტელის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ესწრება არტელის წევრთა საერთო რიცხვის ორ მესამედზე, არანაკლები, არტელის წევრთა საერთო კრების ოქმში აუცილებლად აღინიშნება კრებაზე დამსწრე კოლმეურნეთა რიცხვი და გარიცხვის მომხრეთა რიცხვი; იმ შემთხვევაში, თუ არტელის წევრი, საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტში გაასაჩივრეს დადგენილება თავისი გამორიცხვის შესახებ საკითხს საბოლოოდ სწყვეტს საბჭოს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი არტელის გამგეობის თავმჯდომარის და მომჩივნის თანდასწრებით". („სანიმუშო წესდების" მე-8 მუხლი).

ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ლმობიერად მოვეპყრათ მტერს, რომელიც ანიავებს საკოლმეურნეო საკუთრებას, ბოროტმოქმედს, რომელიც მავნებლობას ჩადის კოლმეურნეობის მიმართ, ერთი საქმეა შეუგნებელისა და ნაკლებად — შეგნებულის აღზრდა, მეორე საქმე ბოროტმოქმედი, რომელმაც სალეწ მანქანაში რკინის ნაჭერი გააჩხირა ან მოჰკლა ცხენი. ხალხის ასეთი მტრების მიმართ ლენინიც ყოველთვის მოითხოვდა და ამხ. **სტალინიც** მოითხოვს. როგორც პარტიული, ისე უპარტიო ხელმძღვანელობისაგან უდიდეს **სიფხიზლის და სიმკაცრეს.** აქ შეიძლება ლაპარაკი იყოს მხოლოდ სასჯელის დადებაზე საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის შესახებ გამოცემული კანონის მთელი **სიმკაცრით.** ამიტომ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში გათვალისწინებულია შემდეგი პუნქტი:

„საზოგადოებრივი საკოლმეურნეო, სახელმწიფო საკუთრების ყოველგვარ მტაცებლობას, მავნებლურ დამოკიდებულებას არტელის ქონებისა და პირუტყვისადმი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მანქანებისადმი არტელი ჩათვლის კოლმეურნეობის საერთო საქმის ღალატად და ხალხის მტრებისათვის დახმარების გაწევად.

იმ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით საკოლმეურნეო წყობილების საფუძვლების ასეთ დანაშაულებრივ ძირის გამოთხრაში, არტელი გადასცემს სასამართლოს სასჯელის დასადებად მუშურ-გლეხური სახელმწიფოს კანონების მთელი სიმკაცრით" („სანიმუშო წესდების" მე-18 მუხლი).

3. როგორ მოვეპყრათ ერთპიროვნულ მეურნეებს

ერთპიროვნული მეურნეები სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ბლომად დარჩნენ. ისინი არ არიან 4 მილიონ კომლზე ნაკლები. მაშასადამე, გლეხური მოსახლეობის დაახლოებით 20 მილიონი ჯერ კიდევ არ შესულა კოლმეურნეობებში.

როგორ უნდა მოვექცეთ მათ? კოლმეურნეობები ძალიან უხალისოდ ღებულობენ მათ თავის შემადგენლობაში—ეს ყველასათვის ცნობილია. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამიანთა ყველა ეს მილიონები — დაღუპულია სოციალისტური მშენებლობისათვის. მათ შორის ბევრია ისეთები, რომლებიც გახდებიან პატიოსანი მუშაკები საბჭოთა მეურნეობებსა და ქარხნებში, მათი საკმაო ნაწილი შევა კოლმეურნეობებში.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ შევურიგდეთ იმ მდგომარეობას, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობები უხურავენ მათ კარებს? არ შეგვიძლია. ყველას ახსოვს, თუ როგორი სიცხადით გაილაშქრა ამხ. სტალინმა პირველ საკოლმეურნეო ყრილობაზე იმის წინააღმდეგ, რომ ყველა ერთპიროვნულ მეურნეს განურჩევლად მოუსპონ კოლმეურნეობებში შესვლის საშუალება, ძალიან ხშირად კოლმეურნეობაში შესვლის დროს ერთპიროვნული მეურნისაგან მოითხოვენ, რომ მან ერთბაშად გადაიხადოს იმ ცხენის ღირებულება, რომელიც მან ორი წლის წინათ გაყიდა, და მთლიანად შეიტანოს თესლი. ხოლო ეს მას არ ძალუძს. აქ კი კოლმეურნეები უარს ეუბნებიან მიღებაზე „კანონიერ" საფუძველით. რაც შეიძლება ნაკლები უნდა იყოს ასეთი „კანონიერი" საფუძვლები სანიმუშო წესდება ითვალისწინებს, რომ კოლმეურნეობები ვალდებულნი არიან ერთგვარი **შეღავათი** მისცენ პატიოსან ერთპიროვნულ მეურნეს კოლმეურნეობაში შესვლის დროს. აი რა არის ჩაწერილი ამის შესახებ სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში:

„ერთპიროვნული მეურნე გლეხები, რომელთაც არტელში შესვლის წინ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაყიდეს ცხენები და რომელთაც თესლი არა აქვთ, არტელში მიიღებიან იმ პირობით, თუ იკისრებენ ვალდებულებას, რომ თავისი შემოსავლიდან 6 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად შეიტანენ ცხენის ღირებულებას და თესლს ნატურით" (სანიმუშო წესდების მე-7 მუხლიდან).

პატიოსანი ერთპიროვნული მეურნეებისათვის დახმარების გაწევა იმ მხრივ, რომ ისინი შევიდნენ კოლმეურნეობაში, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ახლა 1935 წელს ხომ იწარმოებს აქტების მიცემა კოლმეურნეობებისათვის მიწის სამუდამო სარგებლობის შესახებ, ხოლო რამდენიმე ერთპიროვნული მეურნის მიწები ხშირად იწვევენ კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის საზღვრების **არევ დარევას.**

რამდენიმე სიტყვა კოლმეურნეობებში ყოფილი კულაკების და შავსიელთა შვილების მიღების შესაძლებლობის შესახებ. ძველი სანიმუშო წესდება — 1930 წლის—ამ კითხვაზე იძლევა ერთ პასუხს: კოლმეურნეობაში არ შეიძლება მიღებულ იქნან არც ყოფილ კულაკები, არც შავსიელთა შვილები. და ეს სავსებით სწორი იყო. ჩვენ რომ ეს წესები არ გაგვეთვალისწინებია 1930 წლის სანიმუშო წესდებაში, კულაკები საგრძნობლად გააძნელებდნენ კოლმეურნეობათა განმტკიცებას. კოლმეურნეობებში შემძვრალი კულაკები და მოკულაკოები ჯერ კიდევ 1932 წელს [illegible] კოლმეურნეობებს შიგნიდან ჩვენ მათ [illegible] ლახვარი ბოლშევიკურად. ჩვენ გავწმინდეთ კოლმეურნეობებიდან და საბოლოოდ [illegible] ბევრი [illegible] რომლებიც შეძვრნენ კოლმეურნეობებში იმისათვის. რომ ზიანი მიეყენებიათ ჩვენთვის.

ახლა, როცა კოლმეურნეობები განმტკიცდნენ, სანიმუშო წესდება ეუბნება კოლმეურნეობებს: ყოფილ კულაკებს შორის, როგორც თეთრი ზღვის არხის მშენებლობის გამოცდილება გვიჩვენებს, არის ადამიანთა ერთი ნაწილი, რომელიც გამოსწორდა და სურს პატიოსნად იმუშაოს კოლმეურნეობაში. შავსიელთა შვილებს შორის ბევრია ისეთები, რომლებიც უკვე მთელი რიგი წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად მუშაობენ საზოგადოებრივ - სასარგებლო სამუშაოზე. სანიმუშო წესდება ნებას გვაძლევს მივიღოთ არტელის წევრთა შემადგენლობაში ასეთი ადამიანები, რასაკვირველია, **წინდახედულად და მტკიცედ შემოწმებით,** რათა გამოსწორებულთა სახით არ შეძვრნენ ცხვრის ტყავში გახვეული მგლები. აი რა არის ნათქვამი ამ საკითხზე სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში:

„არტელში არ მიიღებიან კულაკები და ყველა ის პირნი, რომელნიც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებებს.

შენიშვნა: ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება:

ა) შავსიელთა იმ შვილებისათვის, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში საზოგადოებრივ - სასარგებლო შრომას ეწევიან და კეთილსინდისიერად მუშაობენ;

ბ) იმ ყოფილ კულაკებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. რომლებიც. იყვნენ რა გადასახლებული ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო გამოსვლებისათვის, ახალი დასახლების ადგილზე სამი წლის განმავლობაში თავიანთ პატიოსანი მუშაობით და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებისათვის მხარის დაჭერით. აჩვენებენ, რომ ისინი გამოსწორდნენ" („სანიმუშო წესდების მე-7 მუხლიდან).

4. მუდმივი ბრიგადების შესახებ

აქიდან თქვენ ხედავთ, რომ სანიმუშო წესდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოს კოლმეურნეობის პირადი შემადგენლობის ურყეობა **ბოლო მოუღოთ დენადობის უკანასკნელ ნაშთებს** და ამავე დროს შეიყვანოს კოლმეურნეობებში [illegible] ჯერ კიდევ დარჩენილი მშრომელი ერთპიროვნული მეურნეები. პირადი შემადგენლობის ურყეობის უზრუნველყოფა კოლმეურნეობაში — ეს კიდევ არ არის ყველაფერი.

ხდება ხოლმე, რომ კოლმეურნეობაში უკვე ორი-სამი წელიწადია ჩამოყალიბდა ძირითადი შემადგენლობა, მაგრამ საქმე მაინც წინ არ მიდის. ეს უფრო ხშირად ხდება ისეთ კოლმეურნეობებში, სადაც კოლმეურნეებმა არ იციან თავისი ადგილი საკოლმეურნეო წარმოებაში, სადაც არ არიან ბრიგადები.

ცნობილია, რომ 1930 წლის ძველ სანიმუშო წესდებაში — სიტყვა „ბრიგადა" არც კი იყო მოხსენებული. ეს სავსებით გასაგებია. მაშინ, 1930 წელს სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება ერთპიროვნულ გლეხებს და ეუბნებოდა მათ: — გაერთიანდით, რათა იმუშაოთ ერთად, — ერთად მუშაობა მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაში უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ცალ-ცალკე მუშაობა წვრილ მეურნეობაში. როგორ უნდა მოეწყოს მუშაობა კოლმეურნეობაში, რომ არ იყოს გაუპიროვნება, ეს ჯერ კიდევ არავინ იცოდა. არ იყო გამოცდილება. და სანიმუშო წესდებაში ამის შესახებ არაფერი არ ყოფილა ჩაწერილი.

ახლა უკვე ამით დაკმაყოფილება აღარ შეიძლება. ახლა კოლმეურნეობა, რომელშიაც ხალხი მუშაობს ისე, რომ არ არის დაყოფილი ბრიგადებად. რომელშიაც **კოლმეურნემ არ იცის თავისი მუდმივი ადგილი საკოლმეურნეო წარმოებაში, ეს უკვე ჩამორჩენილზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობაა.**

ამიტომ ახალი სანიმუშო წესდება ეუბნება კოლმეურნეებს; იმისათვის, რომ მიიღოთ მთელი სარგებლობა ერთად მუშაობისაგან, საზოგადოებრივ წარმოებისაგან. **საჭიროა მთელი კოლმეურნეობა დაჰყოთ ბრიგადებად.** (მემინდვრეობის და მეცხოველეობის ბრიგადებად). თვითეულმა კოლმეურნემ უნდა იცოდეს. მემინდვრეობის ან მეცხოველეობის რომელ ბრიგადაში ირიცხება იგი, მიწის რომელ ნაკვეთზე ან რომელ საძოვარზე მუშაობს მისი ბრიგადა.

იმისათვის. რომ კოლმეურნეობაში საქმე წინ მიდიოდეს, თვითეულმა კოლმეურნემ უნდა იცოდეს. რომ იგი როგორც ერთი წლის შემდეგ, ისე ორი წლის შემდეგ იმუშავებს იმავე **საბრიგადო ნაკვეთზე. რომელზედაც წელს მუშაობს.** საჭიროა თვითეულმა კოლმეურნემ იცოდეს. რომ სარეველა ბალახი. რომელსაც მისი ბრიგადა არ მოსპობს წელს, გააფუჭებს პურს მომავალ წელს მისივე ბრიგადის ნაკვეთზე.

იმისათვის. რომ კოლმეურნეობაში საქმე წინ მიდიოდეს, საჭიროა თვითეულმა კოლმეურნემ იცოდეს. რომ თუ მისი ბრიგადა მისთვის გადაცემულ ძროხებს დააგრილებს არა ჯიშიანი, არამედ უბრალო ხარით, მაშინ ოთხი-ხუთი წლის შემდეგაც კი ბრიგადის წევრები ზარალში იქნებიან. ძროხები მისცემენ ნაკლებ რძეს და ბრიგადა მიიღებს ნაკლებ შემოსავალს.

როგორც ხედავთ, კოლმეურნეობის განსამტკიცებლად და მისი პირადი შემადგენლობის ურყეობის შესანარჩუნებლად ბრიგადების მოწყობას კოლმეურნეობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

სანიმუშო წესდება იმის შესახებ. თუ როგორ უნდა დარაზმონ და დაამაგრონ არტელის წევრები სამუშაოში გვიჩვენებს შემდეგს:

„არტელის წევრებიდან გამგეობა ქმნის საწარმოო ბრიგადებს. მემინდვრეობის ბრიგადები გამოყოფილ უნდა იქნენ მთელი თესლბრუნვის არანაკლები ვადით.

მემინდვრეობის ბრიგადას ეძლევა ნაკვეთები თესლბრუნვის მინდვრებზე თესლბრუნვის ვადით.

კოლმეურნეობის გამგეობამ მემინდვრეობის თვითეულ ბრიგადას სპეციალური აქტით უნდა მიამაგროს მთელი მისთვის საჭირო ინვენტარი. მუშა-პირუტყვი და სამეურნეო ნაგებობანი.

მეცხოველეობის ბრიგადები გამოიყოფიან არა ნაკლებ სამი წლის ვადით.

არტელის გამგეობამ მეცხოველეობის თვითეულ ბრიგადას უნდა მიამაგროს პროდუქტიული პირუტყვი. მომსახურებისათვის საჭირო ინვენტარი. აგრეთვე [illegible] სამეცხოველეო ნაგებობანი" („სანიმუშო წესდების" მე-14 პუნქტიდან).

V მართვა-გამგეობის საკითხები

1. არტელის საწარმოო ამოცანები

მართვა - გამგეობის საკითხები სანიმუშო წესდებაში დაწვრილებით განხილულია, როგორც არტელის საწარმოო და კულტურული ამოცანების თვალსაზრისით (მე-6 პუნქტი), ისე მართვა გამგეობის სხვადასხვა ორგანოების მოვალეობათა და უფლებების თვალსაზრისით (პუნქტები 19-25 მდე). **ყველამ** ვინც წაიკითხა სანიმუშო წესდება. ალბათ მიაქცია ყურადღება იმას, თუ რა დიდი ადგილი უკავია სანიმუშო წესდებაში არტელის ძირითად საწარმოო და კულტურული ამოცანების ჩამოთვლას, რატომ ასე დაწვრილებით ჩერდება სანიმუშო წესდება ამ საკითხებზე? იმიტომ, რომ გლეხი, ღარიბი და საშუალო გლეხი, ძველთაგანვე თავისი ცხოვრების პირობების გამო იძულებული იყო მცირედით დაკმაყოფილებულიყო. და ამჟამად კოლმეურნეობებში ხშირად ხდება. რომ ახლანდელი კოლმეურნე, მიაღწევს რა კოლმეურნეობაში საშუალო მეურნეობის შემოსავალს, საქონლიანობას და ცხოვრების დონეს, მზად არის ამით დაკმაყოფილდეს. ამავე დროს, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს თვალსაზრისით ეს სრულიად შეუწყნარებელია. **ერთპიროვნული გლეხის — საშუალო მეურნის წინანდელი დონე — ეს არის არასკმარი და არადამაკმაყოფილებელი დონე.**

ჩვენი ქვეყნის ვეებერთელა რაიონები თითქმის სრულიად მოკლებული არიან ბაღებს. სოფლებში ისეთი გაჭირვება იყო და საერთო გაჭირვების გამო ურთიერთული შური იმდენად ძლიერი იყო, რომ საკარმიდამო მიწაზე დარგულ ვაშლის ხეს ჩვეულებრივად ვინმე ამტვრევდა, სანამ იგი დაიწყებდა ნაყოფის მოცემას.

ჩვენს ქვეყანაში ათი ათასობით მოიპოვება გუბეები, რომლებსაც შეუძლიათ მრავალი მილიონი ფუთი თევზის მოცემა. იმისთვის, რომ გუბე გაეწმინდათ და მოეშენებიათ მასში თევზი, საჭირო იყო მთელი სოფლის საერთო მუშაობა, მაგრამ განა შეიძლებოდა ჩვენი სოფლის გაერთიანება საერთო მუშაობისათვის, როცა ადამიანები ცხოვრობდნენ ანდაზის მიხედვით: კაცი კაცისთვის მგელიაო.

ჩვენი ზავოლჟიეს, ციმბირის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის, სალსკის ველების თვალუწვდენელ სივრცეებზე ყოველწლიურად მრავალი ასეული მილიონი ფუთი პურის გადარჩენა შეიძლებოდა, რომ მინდვრების გარშემო გაგვეშენებია ტყე. ამისთვის საჭირო იყო მთელი სოფლის საერთო მუშაობა. ამისთვის საჭიროა, რომ თვითეული თავის მეზობელში ხედავდეს პირველ ყოვლისა საერთო მუშაობის მონაწილეს და არა მგელს. ძველს სოფელში ეს ასე არ იყო.

სულ სხვაა ახლა. **ახლა ჩვენში არიან კოლმეურნეობები, არის საამხანაგო მეურნეობა და ადამიანი ადამიანისთვის მგელი კი არ არის, არამედ ამხანაგია.**

ნამდვილი კულტურული და მოწინავე მეურნეობის შექმნის ღონისძიებათა შესახებ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი დარგების შესახებ დაწვრილებით ლაპარაკობს სანიმუშო წესდება მე-6 პუნქტში.

ვინც ადევნებს თვალყურს იმას, თუ როგორ დაიწყო წესდების განხილვა კოლმეურნეობებში, მან იცის, რომ სანიმუშო წესდების მე-6 პუნქტი გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე საბრძოლო პუნქტად. აქ ისწრაფიან მოწინავე კოლმეურნეები ჩასწერონ თავიანთი მეურნეობის ის ამოცანები, რომლებიც მას გადააქცევენ ნამდვილ მოწინავე კულტურულ მეურნეობად. მარცვლეულის ასფუთიანი და არა ორმოცდაათფუთიანი მოსავალით. 2-3 ათასი ლიტრის და არა [illegible], ათასი ლიტრის წველადობით, რაც უფრო მეტად გამოვლინდება თვით კოლმეურნეების ინიციატივა ამ საქმეში. მით უკეთესია. ის. რაც ჩვეულებრივ იწერება კოლმეურნეობის თესვის გეგმაში — ეს ყველაზე უფრო მცირედია, ეს მხოლოდ იმ ფართობების ანგარიშია. რომლებიც უნდა დაითესოს.

მოწინავე კოლმეურნეთა ინიციატივას და შეგნებულობას ბევრი რამე შეუძლია დაუმატონ ამას, რათა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული საზოგადოებრივი შრომის უპირატესობანი და მაღალი ტექნიკა. მაშინ კოლმეურნეთა მთელი მასა დაინახავს, რომ კოლმეურნეობა ვალდებულია და შეუძლია გაზომოს თავისი მეურნეობის წარმატებანი არა ერთპიროვნული საშუალო გლეხის დონის მიხედვით, არამედ იმ ყველაზე უფრო მოწინავე მიწათმოქმედი კოლმეურნის დონის მიხედვით. რომელიც შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს.

2. არტელის კულტურული ამოცანები

სანიმუშო წესდების იგივე მეექვსე პუნქტი დაწვრილებით იხილავს იმ კულტურულ ამოცანებს, რომლებიც დასახულია არტელის წინაშე. საქმე ეხება იმას, რომ შეძლებული ცხოვრება — ეს არ ნიშნავს მარტო მაძღარ ცხოვრებას. **შეძლებული ცხოვრება ნიშნავს მაძღარსაც და კულტურულ ცხოვრებასაც.**

შეძლებული ცხოვრების მიღწევა —ის იმას ნიშნავს, რომ მიიღწიო პროდუქტების სიუხვეს და ნამდვილ კულტურას.

ჩვენი სოფლის კულტურა ჯერ-ჯერობით ისეთია, რომ ბრძოლა გვიხდება სულ უბრალო რამისათვის.

განა ბევრია ჩვენში ისეთი სოფლები, სტანიცები, ხუტორები, კიშლაკები და აულები. სადაც არის საპარიკმახეროები? ხოლო კოლმეურნეს არ სურს გავდეს თმებით გაბურძგნილ ძველ ერთპიროვნულ მეურნეს.

განა ბევრია ჩვენში ისეთი სოფლები, სტანიცები, ხუტორები, კიშლაკები და აულები, სადაც არის ნამდვილი აბანოები? ხოლო კოლმეურნეს სურს კვირისათვის დაიბანოს ტანი აბანოში ისე, როგორც ქალაქში.

ბევრმა კოლმეურნეობამ შემოიღო საველე ბანაკები, განა ჩვენში ბევრია ისეთი კოლმეურნეობები. სადაც ეს ბანაკები ნათელი და სუფთაა. სადაც ისინი არ გვანან [illegible] მოუწყობელ ღამისგასათევ ადგილებს. სადაც ხალხი იატაკზე ყრია? კოლმეურნეს, რომელიც გაზაფხულიდან შემოდგომამდე დღისით და ღამით მინდორში ატარებს, სურს ისადილოს, სურს დაისვენოს სუფთა და ნათელ ბანაკში.

განა ბევრია ჩვენში სოფლის ისეთი ქუჩები. სადაც შეიძლება გაიარო გაზაფხულზე და შემოდგომაზე ისე, რომ არ ჩაეფლო ტალახში?. ხოლო მოწინავე კოლმეურნეს სურს. რომ მისი ქუჩა გავდეს ქალაქის ქუჩას.

განა ბევრია ჩვენში სოფლის ქუჩები. რომლებზედაც დარგული იყოს ხეები? ასეთი ქუჩები ერთეულებით ვანისაზღვრება. ქალაქი მოსავს თავის ქუჩებს ხეებით. ნუ თუ ამის გაკეთებას არ მოისურვებს კოლმეურნეობა. რომელიც თავის თავს მოწინავე კოლმეურნეობას უწოდებს?

კოლმეურნეობები თვითონ - თვე სულ უფრო-და-უფრო მეტად იბრძვიან კლუბების. ბიბლიოთეკების და სამკითხველოების შექმნისათვის, გაზეთების. წიგნების, რადიოს. კინოს დანერგვისათვის.

ერთპიროვნული გლეხის მიუწვდომელი ოცნება [illegible] იყო გამძღარიყო [illegible] და ესვა გულის არევამდე, ხოლო შემდეგ გამოეძინებია ლაზათიანად.

ახლანდელ მოწინავე კოლმეურნეს სურს ამაღლოს თავისი შრომის კვალიფიკაცია. მას სურს გახდეს ტრაქტორისტი, შოფერი, კომბაინერი, ფერშალი. პირუტყვის მომვლელი. მას სურს მოისმინოს რადიო, ნახოს კინოში „ჩაპაევი".

და ეს გასაგებიცაა. კოლმეურნეობა ნიშნავს არა მარტო გადასვლას წვრილი **ერთპიროვნულ** სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან — **მსხვილ საზოგადოებრივ** სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. **არამედ სოფლის ცხოვრების პირობების დაახლოებასაც ქალაქის კულტურული ცხოვრების პირობებთან.** ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება არტელის და მისი გამგეობის საწარმოო მოვალეობებთან ერთად ითვალისწინებს არტელის და მისი გამგეობის კულტურულ მოვალეობებსაც. სანიმუშო წესდება ავალებს არტელის გამგეობას და ყველა წევრს:

„აამაღლონ არტელის წევრთა შრომითი კვალიფიკაცია. ხელი შეუწყონ კოლმეურნეებს მათგან ბრიგადირების, ტრაქტორისტების, კომბაინერების. შოფერების. ვეტერინარული ფერშლების და სანიტარების. მექანიკოსების, მელორეების, მენახირეების, ჩობანების, მწველავების, ლაბორატორიათა მუშაკების მომზადების საქმეში". („სანიმუშო წესდების" მე-6 მუხლის „ი" პუნქტიდან).

„აწიონ არტელის წევრთა კულტურული დონე, შეიტანონ გაზეთები. წიგნები. რადიო. კინო. შექმნან კლუბები, ბიბლიოთეკები და სამკითხველოები, იქონიონ აბანოები. საპარიკმახეროები, მოაწყონ მინდვრად სინათლიანი და სუფთა ბანაკები, წესრიგში მოიყვანონ სოფლის ქუჩები, დარგონ ქუჩებზე სხვადასხვა ხეები. განსაკუთრებით ხეხილი. და ხელი შეუწყონ კოლმეურნეებს თავისი სახლების გაუმჯობესება და გალამაზებაში". („სანიმუშო წესდების" მე-6 მუხლის „კ", პუნქტიდან).

დასასრული იხ. მე-4 გვ.

ამხ. ი. ა. იაკოვლევის მოხსენების დასასრული

3. საერთო კრების შესახებ

მმართველობის უმნიშვნელოვანესი საკითხი—ეს არის არტელის წევრთა საერთო კრების საკითხი. კოლმეურნეთა საუკეთესო თავმჯდომარეებს შორისაც საკმაოდ მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც ფიქრობენ: რაკი ჩემს კოლმეურნეობაში საქმე კარგად მიდის, რატომ უნდა დავკარგო დრო საერთო კრებებზე. არიან ისეთებიც, რომლებიც საჭიროების დროს დაიტრაბახებენ კიდეც: ჩვის კოლმეურნეობაში საქმეები კარგად არის, მე გამოცდილი კაცი ვარ, პატივს მცემენ და საერთო კრება უკანასკნელად მე ნახევარი წლის წინათ მოვიწვიეო.

ასეთი ადამიანები, რა გინდ გენიოსებიც უნდა იყვნენ ისინი, აუცილებლად და ამასთან თავისთვის მოულოდნელად რაიმე სერიოზულ საქმეზე მოიტეხენ კისერს. ასეთ ადამიანებს გარღვევა საკოლმეურნეო საქმეებში ეპარება **მოულოდნელად ისე**, როგორც ქურდი ღამით. ასეთ ადამიანებს არ ესმით, რომ როცა აშენებ ახალ საქმეს, ხალხს უნდა მისცეთ საშუალება გამოთქვან თავისი აზრი, თავისი გამოცდილება, უნდა მიეცეთ ადამიანებს შესაძლებლობა—თქვან ყველაფერი, რაც მათ დაუგროვდათ, საჭიროა ისე გაუძღვე საქმეს, რათა **თვითეული კოლმეურნე გრძნობდეს, რომ კოლმეურნეობა** ის მისი მეურნეობაა.

უნდა გაუძღვე საქმეს ისე, რათა თვითეულ კოლმეურნეს ესმოდეს, რომ იგი მუშაობს თავისთვის, თავისი კოლმეურნეობისათვის და არა თავმჯდომარისათვის.

არტელის კარგი თავმჯდომარე ეს არის წარმოების არა მარტო მტკიცე და გამოცდილი ორგანიზატორი, არამედ ეს არის კიდევ წარმოების ისეთი ორგანიზატორი, რომელსაც შესწევს კოლმეურნეთა მთელი მასის შეგნებულობის ამაღლების უნარი.

ყველა კოლმეურნეში ჯერ კიდევ საკმაოდ არის დარჩენილი გუშინდელი ერთპიროვნული მეურნის ცრუმორწმუნეობანი. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ ხელახლა აღვზარდოთ იგი, როგორც საჭიროა ისე. უნდა დავეხმაროთ მას ზრდაში, უნდა დავეწიოთ მას, რაც შეიძლება მალე მოწიფოს იმ დონემდე, რომელიც [illegible] დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობამ. ერთერთი საუკეთესო საშუალებაა დავეხმაროთ კოლმეურნეს ზრდაში—უნდა ჩავაბათ იგი იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც მთელს არტელს ეხებიან. ამიტომაც სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში განსაზღვრულია ჯგუფი უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, რომელთა შესახებ არტელის გამგეობის გადაწყვეტილება საერთო კრების დაუმტკიცებლად **კანონიერად** არ ჩაითვლება. ამიტომაც ამ საკითხებისადმი მიკუთვნებულია ყველა ის საკითხები, რომლებიც ეხება საწარმოო გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებს, ხელშეკრულებებს, ფონდების რაოდენობას, შინაგან განაწესებს, არტელში მიღებას და არტელიდან გარიცხვას.

ამ საკითხზე სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებაში ნათქვამია ასე:

„საერთო კრება წარმოადგენს არტელის მართვა-გამგეობის უმაღლეს ორგანოს.

საერთო კრება:

ა) ირჩევს არტელის თავმჯდომარეს და არტელის გამგეობას, აგრეთვე არტელის სარევიზიო კომისიას, ამასთან სარევიზიო კომისიას ამტკიცებს საბჭოების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი;

ბ) აწარმოებს ახალი წევრების მიღებას და წევრთა გარიცხვას არტელის შემადგენლობიდან;

გ) ამტკიცებს წლიურ საწარმოო გეგმას, საშემოსავალ-გასავლო ხარჯთ-აღრიცხვას, მშენებლობის გეგმას, სამუშაოების გამომუშავების ნორმებს და შეფასებას შრომადღეებში;

დ) ამტკიცებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურთან დადებულ ხელშეკრულებას;

ე) ამტკიცებს გამგეობის წლიურ ანგარიშს სარევიზიო კომისიის სავალდებულო დასკვნით, აგრეთვე გამგეობის ანგარიშებს უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კამპანიების საკითხებზე;

ვ) ამტკიცებს სხვადასხვა ფონდების ოდენობას და იმ პროდუქტებისა და ფულის რაოდენობას, რომლებიც გაცემულ უნდა იქნას შრომადღეზე;

ზ) ამტკიცებს არტელის შინაგან განწესრიგებას.

არტელის გამგეობის გადაწყვეტილება წესდების ამ პუნქტის ჩამოთვლილ ყველა საკითხზე ჩაითვლება უკანონოდ, თუ იგი არ არის დამტკიცებული საერთო კრების მიერ.

საერთო კრება კანონიერია იმ შემთხვევაში, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე არანაკლები ყველა საკითხის გადასაჭრელად, გარდა ისეთი საკითხებისა როგორიცაა: არტელის გამგეობის და თავმჯდომარის არჩევა, არტელის შემადგენლობიდან გამორიცხვა და სხვადასხვა ფონდების ოდენობის დაწესება, რომლ[illegible] გადასაჭრელად საჭიროა, რომ საერთო კრებას დაესწროს წევრთა საერთო რიცხვის ორ მესამედზე არანაკლები" (სანიმუშო წესდების მე-20 მუხლი).

4. არტელის თავმჯდომარის და გამგეობის შესახებ

არტელის საერთო კრების გამოცხადება არტელის საქმეების მართვა — გამგეობის უმაღლეს ორგანოდ, ამავე დროს, არ ნიშნავს იმას, რომ შეიქმნა დომხალი საკოლმეურნეო საქმეებში. მასისათვის ხელმძღვანელობის გაწევა არ ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ კუდში მისჩანჩალებდე მასების ჩამორჩენილ განწყობილებებს. რაც უფრო მეტ უფლებებს აძლევს სანიმუშო წესდება საერთო კრებას, მით უფრო უკეთ და უფრო გარკვეულად უნდა [illegible] თავმჯდომარე ხელმძღვანელობას არტელის და მისი ბრიგადების მუშაობას. არტელის თავმჯდომარის და მთელი გამგეობის მოვალეობათა საკითხს სანიმუშო წესდება დიდ ყურადღებას უთმობს. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კოლმეურნე მასების თვითმოქმედების უდიდესი გაქანება შევათავსოთ თავმჯდომარის და გამგეობის ნამდვილ ოპერატიულ მუშაობასთან. აი, რას ამბობს სანიმუშო წესდება არტელის გამგეობის და მისი თავმჯდომარის შესახებ.

„არტელის გამგეობა წარმოადგენს არტელის აღმასრულებელ ორგანოს და პასუხისმგებელია არტელის წევრთა საერთო კრების წინაშე არტელის მუშაობისათვის და მის მიერ სახელმწიფოს წინაშე თავის ვალდებულებათა შესრულებისათვის".

(სანიმუშო წესდების მე-21 მუხლიდან).

„არტელის და მისი ბრიგადების მუშაობისათვის ყოველდღიური ხელმძღვანელობის გასაწევად, აგრეთვე გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულების ყოველდღიურად შესამოწმებლად არტელის საერთო კრება ირჩევს არტელის თავმჯდომარეს, რომელიც ამასთან ერთად არის გამგეობის თავმჯდომარე.

თავმჯდომარე ვალდებულია თვეში ორჯერ მაინც მოიწვიოს გამგეობის სხდომა მიმდინარე საქმეების განსახილველად და სათანადო გადაწყვეტილებათა გამოსატანად" (სანიმუშო წესდების მე-22 მუხლიდან).

[illegible] წარმოების გამოცდილ ხელმძღვანელთა აღზრდის საკითხთან დაკავშირებულია მათი მუშაობის ვადების საკითხი. თუ თავმჯდომარეები არტელში თითქმის ყოველთვიურად იცვლებიან — მაშინ ასეთი თავმჯდომარეებისაგან გამოცდილ ხელმძღვანელებს ვერ შექმნი და ვერც არტელის მეურნეობას დააყენებ.

თავმჯდომარის მუშაობის ვადის საკითხი — ეს როდია მარტო წესდების საკითხი. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მუშაობის ვადა განუყრელად დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ანხორციელებენ რაიონული ხელმძღვანელი ორგანოები თავის ხელმძღვანელობას კოლმეურნეობებისათვის.

როცა სანიმუშო წესდება ადგენს, რომ არტელის გამგეობას ირჩევენ ორი წლის ვადით, აქ სანიმუშო წესდება მიმართავს არა მარტო არტელის წევრებს, არამედ სოფლის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებსაც.

საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ მთელ რიგ მხარეებსა, ოლქებსა და რესპუბლიკებში ხშირად რაიკომები და რაიაღმასკომები ცვლიან კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს თვით კოლმეურნეობების დაუკითხავად. ამ ცოტახნის წინათ ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილებამ გამოააშკარავა ასეთი შემთხვევა: კურსკის ოლქის ნოვოსელსკის რაიკომის ბიურომ ერთი ხელის მოსმით, ერთი გადაწყვეტილებით არტელის 28 თავმჯდომარე გადაიყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე, ამის შესახებ ნოვოსელსკის რაიკომმა დადგენილება შეადგინა ისე, თითქოს საქმე ეხებოდა რაიმიწგანის ან რაიაღმასკომის კანცელარიის მუშაკებს. „ესა და ეს თავმჯდომარე, აღნიშნულია ვინაობა, ამადაამ კოლმეურნეობიდან გადაყვანილ იქნას ამადაამ კოლმეურნეობაში" და სხვა. თავისთავად ცხადია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი გმობს „ხელმძღვანელობის" ასეთ მეთოდებს, როგორც არაპარტიულს.

ჩვენში მოიპოვებიან აგრეთვე ისეთი უხეირო ხელმძღვანელებიც, რომელნიც რაიონში თესვის ან დამზადების ცუდად მიმდინარეობისათვის პასუხისმგებლობისაგან თავს იძვრენ, იმით რომ სოლქო ხელისუფლების წარმომადგენლის ჩამოსვლამდე 1-თი დღით ადრე ხსნიან კოლმეურნეობების 10-15 თავმჯდომარეს. ამით ისინი ამტკიცებენ თავის ადმინისტრატიულ ერთგულებას და პარტიისაგან მოწყვეტას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთ პრაქტიკას არაფერი აქვს საერთო ბოლშევიკურ სიმტკიცესთან. ბოლშევიკური სიმტკიცე ზოგჯერ მოითხოვს არამარტო სამუშაოდან მოხსნას კოლმეურნეობის თავმჯდომარისა, რომელსაც კოლმეურნეობა დანაშაულებრივად მიჰყავს მუშაობის ჩაშლისაკენ, არამედ აგრეთვე მის დაპატიმრებასაც. მაგრამ ბოლშევიკურ სიმტკიცეს არაფერი საერთო არა აქვს იმ უხეირო ადმინისტრატორების ერთგულებასთან, რომელნიც ერთი ხელის მოსმით ქმნიან დომხალს თავისი რაიონების კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისაგან.

როცა სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება ლაპარაკობს იმაზე, რომ არტელის თავმჯდომარე ირჩევა ორი წლით, ამით იზღუდება რაიკომების და რაიაღმასკომების მხრით უკანონო მოქმედების შესაძლებლობა.

სწორედ ამით ხაზგასმულია, რომ ამჟამად მთავარ ამოცანას კოლმეურნეობების მიმართ წარმოადგენს კადრების აღზრდა. კოლმეურნეობების თავმჯდომარეების და ბრიგადირების ნამდვილი ბოლშევიკური კადრების აღზრდა — აი რა გვაკლია ჩვენ იმისთვის, რომ კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდეს წინ საკოლმეურნეო წარმოება.

შემთხვევითი როდია, რომ დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატებს შორის ბლომად იყვნენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელნი, რომელნიც 3-4-5 წელიწადს მუშაობენ ერთდაიმავე კოლმეურნეობაში. ეს უკვე ნამდვილი ხელმძღვანელებია. ეს არის ხალხი, რომელმაც იცის მიწის თვითეული ნაკვეთი კოლმეურნეობაში. ეს ის ხალხია, რომელმაც იცის, რა ჯიშის თესლი შეეფერება ყველაზე უფრო მათი კოლმეურნეობის პირობებს. ამ ხალხმა იცის თვითეული კუთხე კოლმეურნეობაში. ასეთი ხელმძღვანელები ჩვენთვის საჭიროა. ჩვენ ისინი გვეყოლება, თუ განუხრელად შევასრულებთ სანიმუშო წესდებით შემოღებულ წესს, რომლის თანახმად არტელის გამგეობა და თავმჯდომარე არჩეულ უნდა იქნან ორი წლით. ისინი ჩვენ გვეყოლება, თუ ჩვენი რაიონული ორგანიზაციები კოლმეურნეობების მზარდი კადრების მიმართ, როგორც მთავარი წესით, იხელმძღვანელებენ ამხ. სტალინის მითითებით მეტალურგებთან თათბირზე:

„საჭიროა გავუფრთხილდეთ თვითეულ ნიჭიერ და მცოდნე მუშაკს, გავუფრთხილდეთ და გამოვზარდოთ იგი, საჭიროა ადამიანების მზრუნველობითა და ყურადღებით გამოზრდა, როგორც მებაღე ზრდის სანუკვარ ხეხილს".

თუ ასე მზრუნველობით არის საჭირო მუშაკების გამოზრდა ქარხნებში, სადაც კადრები ათწლობით იქმნებოდნენ, კიდევ უფრო მეტად შეეხება ეს იმ ადამიანებს, რომელნიც მხოლოდ ეხლა იბადებიან, როგორც საზოგადოებრივი მუშაკები. საკოლმეურნეო კადრებისათვის საზოგადოებრივი მეურნეობა ახალი მოვლენაა. მათ შორის ყველაზე ძველს, ყველაზე გამოცდილს აქვს მხოლოდ 4-5 წლის გამოცდილება.

თუ ჩვენი სოფლის ორგანიზაციები სერიოზულად შეასრულებენ სტალინის ამ მითითებას, ჩვენ უეჭველად სწრაფად წავწევთ წინ საკოლმეურნეო საქმეს.

*

ზოგიერთი ფიქრობს, რომ რაკი სანიმუშო წესდება მიღებულია, — მორჩა და გათავდა. ნამდვილად კი სანიმუშო წესდების მიღებით მუშაობა მხოლოდ იწყება. 240 ათასმა კოლმეურნეობამ სამი თვის ვადაში უნდა დაამუშაოს და მიიღოს საბოლოო წესდებები. ამ საქმეში არ შეიძლება თვითდინებაზე დაყრდნობა. აქ საჭიროა ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა და კოლმეურნეობების დახმარება.

რა არის ამჟამად ყველაზე მთავარი და გადაუდებელი:

პირველი — დაუყოვნებლივ უნდა მოვკიდოთ ხელი კოლმეურნეობების საზღვრების აღნიშვნას ადგილზე, ხარვეზიანობის და მიწის სიშორის მოსპობას, რათა უკვე მიმდინარე წელს კოლმეურნეობების ძირითადმა ნაწილმა მიიღოს, სანიმუშო წესდების მეორე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო აქტები მიწის სამუდამოდ მიმაგრების შესახებ.

მეორე — არ დავუშვათ შეცდომები საკარმიდამო მიწის ოდენობის განსაზღვრის დროს. მტკიცედ დავიცვათ სანიმუშო წესდების მეორე პუნქტის მითითება, რომელიც აწესებს, რომ საკარმიდამო მიწის ოდენობა შეიძლება იყოს მეოთხედიდან ნახევარ ჰექტარამდე, ხოლო ცალკე რაიონებში ერთ ჰექტარამდე ოლქის და რაიონის პირობების მიხედვით, რომლებსაც განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მიწსახკომები საკავშირო მიწსახკომის მითითებების საფუძველზე.

მესამე — იმის შესაფერისად, თუ, წესდების მე-5 პუნქტის თანახმად, რაიონების რომელ ჯგუფს ეკუთვნის მოცემული ადგილი, ჩაიწეროს არტელის წესდებაში იმ პირუტყვის რაოდენობა, რომელიც შეუძლია ჰყავდეს საკოლმეურნეო კომლს პირად სარგებლობაში.

მეოთხე — განვსაზღვროთ არტელის განუყოფელ ფონდებში ანარიცხების ზუსტი რაოდენობა ისე, რომ არ დაირღვეს ის ფარგლები, რომლებიც დაწესებულია სანიმუშო წესდების მე-12 მუხლით, ე. ი. არტელის ფულადი შემოსავლის 10-დან არა უმეტეს 20 — პროცენტისა.

მეხუთე — ჰქუას ძალა არ დავატანოთ, განსაკუთრებით საბოლოო წესდების გამომუშავების დროს. მხარის, რაიონის და მოცემული კოლმეურნეობის პირობებთან შეფარდებით შევიტანოთ სანიმუშო წესდების მეექვსე მუხლში ყველა ის ცვლილებანი; რომლებშიაც თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვონ ადგილობრივმა თავისებურებებმა. არ არის საჭირო სანიმუშო წესდების დანარჩენი მუხლების შეცვლა რამდენადაც ისინი განსაზღვრავენ საკოლმეურნეო ცხოვრების მოწყობის მთავარ წესებს, რომლებიც საერთოა ყველა კოლმეურნეობისათვის და რომლებიც მიღებულია დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის მიერ და დამტკიცებულია ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ.(ბ). ცენტრალური კომიტეტის მიერ.

მეექვსე — უზრუნველვყოთ რეგისტრაციაში გასატარებელი თვითეული წესდების ყურადღებით განხილვა საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტში და არ დავუშვათ სანიმუშო წესდების დარღვევა.

მეშვიდე — განვიხილოთ და მივიღოთ წესდებები არტელებში ისე, რომ უფრო მტკიცედ ავამოძრაოთ საკოლმეურნეო მასა იმისათვის საბრძოლველად, რომ გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად და ყველა კოლმეურნე შეძლებულებად, თესვის წარმატების ჩატარებისა და მოსავლის აღების კარგად მომზადებისათვის საბრძოლველად.

მერვე — განუხრელად გავატაროთ ცხოვრებაში სანიმუშო წესდების მე-14 მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმად კოლმეურნე ქალი თავისუფლდება მუშაობიდან მშობიარობამდე ერთი თვით ადრე და ერთი თვით მშობიარობის შემდეგ ხელფასის შენახვით შრომადღეების საშუალო გამომუშავების ნახევრის რაოდენობით.

მეცხრე — საწარმოო და ორგანიზაციული მუშაობა არტელში **ნამდვილად** დავაყენოთ ახალი წესდების ნიადაგზე.

ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობა დღითი-დღე მუშაობდა სანიმუშო წესდებაზე, ითვალისწინებდა რა მოწინავე კოლმეურნეობების და ცალკეულ რაიონების გამოცდილებას. ამხ. სტალინმა ყრილობამდეც და ყრილობის დროსაც უდიდესი ყურადღება მიაქცია ახალ სანიმუშო წესდებას. იგი ისმენდა კოლმეურნის თვითეულ სიტყვას ყრილობაზე, არჩევდა თვითეულ წინადადებას ყრილობის კომისიაში, ესაუბრებოდა რამდენიმე ათეულ დელეგატებს, ამოწმებდა საქმის სხვადასხვა მხარეებს — და ყოველივე ამას იგი აკეთებდა იმისათვის, რომ შეგვემუშავებინა ისეთი სანიმუშო წესდება, რომელიც ნამდვილად დაეხმარება კოლმეურნეთა მთელ მასას უფრო მალე წავიდეს წინ შეძლებული და კულტურული ცხოვრებისაკენ.

ეს არის გაკვეთილი ყველა კომუნისტისათვის, თუ როგორ უნდა მუშაობა საკოლმეურნეო ცხოვრების მოწყობის საკითხებზე. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

აჯანყების ჩაქრობა საბერძნეთში

პარიზი, 13 მარტი. ჰავასის სააგენტო ათინიდან იუწყება, რომ კრეისერმა „ავეროვმა", რომელიც აჯანყებულთა ხელშია, იტალიის კუნძულ კასოსზე გადმოსხა 100 კაცი, უმთავრესად ოფიცრები — აჯანყების ყოფილი ხელმძღვანელები. შემდეგ კრეისერმა როდოსის კუნძულზე, რომელიც იტალიას ეკუთვნის, მოიყვანა ვენიზელოსი თავისი ცოლით. წყალქვეშა ნავმა „იკაცენისმა", რომელიც აჯანყებულებს მიემხრო, იტალიის კუნძულ პატმოსზე (დოდეკანეზის კუნძულები) გადმოსხა აჯანყების მონაწილე ოფიცერთა მეორე ჯგუფი. უკანასკნელი ცნობების თანახმად, წყალქვეშა ნავის „იკაცონის" ეკიპაჟი აჯანყდა თავისი სარდლობის წინააღმდეგ და რადიოთი ავრცელებს მოწოდებას დახმარების შესახებ. სამხედრო მინისტრის კონდილისის განცხადებით გაიგზავნა ჯარი აჯანყების უკანასკნელი კერების ლიკვიდაციისათვის. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, ყველა მეამბოხე გადაეცემა სამხედრო სასამართლოს. საზღვარგარეთ გაქცეულები გასამართლებული იქნებიან დაუსწრებლად.

ათინა, 13 მარტი, საბერძნეთის დეპეშათა სააგენტოს გადმოცემით, კრეისერი „ავეროვი" და დანარჩენი აჯანყებული გემები დანებდნენ მთავრობას, როგორც გაზეთები იუწყებიან, აჯანყების ჩაქრობასთან დაკავშირებით, მთავრობის წრეებში განზრახვა აქვთ: 1) ჩაატარონ მთელ საბერძნეთში ვენიზელოსის მომხრეთა გადამწყვეტი წმენდა, 2) ჩაატარონ ნაციონალური კრების არჩევნები, რათა შესცვალონ კონსტიტუცია და მიაღწიონ აღმასრულებელი ძალა-უფლების გაძლიერებას, 3) დასტოვონ სამხედრო წესები მანამ, სანამ დამთავრდებოდეს აჯანყების ყველა მონაწილის პროცესი. (ადა).

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

მეთვრამეტე ტურის შედეგები

ყურადღების ცენტრშია ტურნირის ლიდერების **ბოტვინიკის** და **ფლორის** შეხვედრა. **ბოტვინიკმა** თეთრებით აირჩია მეფის პაიკის დებიუტი. მოსალოდნელი იყო, რომ ფლორი უპასუხებდა კარო-კანის დაცვით; მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მან აირჩია **სიცილიური** დებიუტის თეორიაში დაწუნებული ვარიანტი. რამდენიმე ფიგურის გაცვლის შემდეგ **ფლორმა ბოტვინიკს ყაიმი შესთავაზა.** უკანასკნელი არ დასთანხმდა. რამდენიმე სვლის შემდეგ მდგომარეობა ისე გამარტივდა, რომ ორივე მხარისათვის მოგებაზე თამაში შეუძლებელი შეიქმნა და მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ყველა პარტიაზე ადრე დამთავრდა **გოგლიძე-ჩეხოვერის** პარტია. **გოგლიძემ** დებიუტშივე მიიღო უპირატესობა. შუატამაშში მან თანდათან გააძლიერა თავისი მდგომარეობა და ძალიან შეავიწროვა მოწინააღმდეგე. **ჩეხოვერის** ყველა ფიგურა თითქმის სრულიად შებორკილი იყო. **ჩეხოვერმა** ისურვა უიმედო ბრძოლის გაგრძელება და **დანებდა.**

დრამატიულად — ვითარდებოდა შტოლბერგ-მენჩიკის პარტია. შტოლბერგმა დებიუტში მიიღო თანაბარი მდგომარეობა, შუა თამაშში მენჩიკმა პაიკის ბრწყინვალე შეწირვით ხელთ იგდო ინიციატივა და სამიშ შეტევაზე გადავიდა. **შტოლბერგი** უკვე უარეს მდგომარეობაში უშვებს უხეშ შეცდომას. **ვერა მენჩიკი** ფიქრობს 15 წუთს, ვერ ამჩნევს უბრალო მოგებას, აკეთებს ძალზე სუსტ სვლას. მდგომარეობა მყისვე იცვლება და რამდენიმე სვლაში **მენჩიკი ნებდება.**

ლისიცინმა წააგო უკრაინის ჩემპიონ **ბოგატირჩუკთან.**

რომანოვსკისთან—კაპაბლანკამ არ ისურვა მცირე უპირატესობის გამოყენება და **ყაიმზე** შეთანხმდა. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ყაიმზე დამთავრდა **ლევენფიში-შპილმანის** პარტია.

რიუმინმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა **რაბინოვიჩთან. პირცკანის** პარტია ყაიმით დამთავრდა. **რაგოზინ-ლასკერის და ალატორცევ-ლილიენტალის** პარტიები გადაიდო, შავებისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

გადადებული პარტიების დამთავრება

13 თებერვალს მოხდა გადადებულ პარტიების დამთავრება.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა **ფლორ—რიუმინის პარტიის** შედეგს. როგორც ცნობილი იყო, გადადებულ პარტიაში **ფლორს** ჰქონდა ზედმეტი პაიკი, მის მოწინააღმდეგეს ორი **კუ, ფლორის** ყოველი ცდა პარტიის მოგებისათვის შეხვდა რიუმინის ბრწყინვალე თავდაცვა და რამოდენიმე სვლის შემდეგ **ფლორმა** თვით შესთავაზა ყაიმი. **რიუმინისათვის** ეს ყაიმი დიდ მორალურ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. **ფლორს** კი ამ პარტიის მოგებით შეეძლო ბოტვინიკისათვის ნახევარი ქულით გასწრება.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე **რაგოზინ — ლასკერის და რომანოვსკი —შპილმანის** პარტიების დამთავრებას. პირველში **ლასკერმა** უხეში შეცდომით ხელიდან გაუშვა მოგება და პარტია ყაიმით დასრულდა. მეორეში კი **შპილმანმა** ბრწყინვალედ გამოიყენა მცირე უპირატესობა და მოუგო **რომანოვსკის.**

ლისიცინმა მოუგო **კანს** და **ყაიმით** დაამთავრა **პირცთან. ალატორცევ ლილიენტალის** პარტია **ყაიმით** დამთავრდა.

უკანასკნელ ტურის წინ ტურნირის მდგომარეობა ასეთია: **ბოტვინიკი და ფლორი** +12½, **ლასკერი** +11½, **კაპაბლანკა** +11, **ლევენფიში და შპილმანი**+10½ **კანი, რაგოზინი და ლილიენტალი**+9½, **რომანოვსკი, რიუმინი, გოგლიძე, ალატორცევი და რობინოვიჩი**+9, **ლისიცინი**+8½, **შტოლბერგი**+8, **ბოგატირჩუკი და პირცი**+7½ **ჩეხოვერი**+5 და **მენჩიკი**+1½.

14 თებერვალს გათამაშდება უკანასკნელი ტური. თამაშობენ: **რაბინოვიჩი — ბოტვინიკი, ფლორი—ალატორცევი, ლასკერი—პირცი, კაპაბლანკა—ლევენფიში, ლილიენტალი—გოგლიძე, შპილმანი—რიუმინი, მენჩიკი—რომანოვსკი, ჩეხოვერი—ლისიცინი, კანი—შტოლბერგი ბოგატირჩუკი რაგოზინი.**

ახალი უნივერმაღები

ფართო მომხმარებლის, რაც შეიძლება მრავალფეროვანი საქონლით მომსახურების მიზნით, „ცენტროსოიუზს" გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წელში გახსნას 750 ახალი რაიონული უნივერსალური მაღაზია მთელს საბჭოთა კავშირში. უნივერსალური მაღაზიები ივაჭრებენ რთული ასორტიმენტის საქონლით. ამიერ-კავკასიაში გაიხსნება 34 მაღაზია.

„ცენტროსოიუზმა" ნება დართო სამხედრო კოოპერაციას იქონიოს რამოდენიმე მაღაზია, რომელიც ივაჭრებს საქონლით კომერციულ ფასებში. თითო ასეთი მაღაზია გაიხსნება ტფილისსა და ბაქოში.

პარტკალენდარი

—საქ. კპ. (ბ) ტფ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ 14 მარტს საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომების დარბაზში, შესდგება ამხ. **ერქომაიშვილის** მოხსენება შემდეგ თემაზე: „ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკი და თვალთმაქცობა, როგორც პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემა". მოხსენება დანიშნულია პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციების მდივნებისა და პროპაგანდისტებისათვის.

— საქ. კ.პ. (ბ) ტფ. კომიტეტის პარტკაბინეტში (ძნელაძის ქ. 30) 14 მარტს, საღ. 7 საათზე შესდგება სემინარის მეცადინეობა პარტკომკავშირული ქსელის მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტთათვის თემა: „საქართველოს კომპარტია ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლაში". ამხ. ბედიას მოხსენება.

— საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. **სოლომონიას** (ც. კ-ის პროპჯგუფის წევრი) სასწრაფოდ გამოცხადდეს ც. კ-ში ამხ. **ორაგველიძესთან.**

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1934-35 წ. სეზ.

დღეს 2 აბონ. 10 წარ. **გედების ტბა**

15 მარტს 11 აბონ. 9 წარ. **შოთა რუსთაველი**

16 მარტს 7 აბონ. 10 წარმ. **ფაუსტი** და ვალპურგ. ღამე

ის აბონენტები რომლებსაც არ ექნებათ შეტანილი ან 10 გადასახდელი თანხა წარმოდგენის ერთი დღით ადრე, წარმოდგენაზე არ დაიშვებიან და მათი ადგილები გაიყიდება

სალარო ღიაა დღისით 11—2 ს. და საღ. 6—9 ს.

დასაწყისი საღამოს 8 ს.

[illegible]

14 მარტს 11 აბონ. 6 წარ. **შლეგი**

15 მარტს 12 აბონ. 6 წარ. **შლეგი**

16 მარტს 1 აბ. 7 წარ. **ზანზაში**

სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე

დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

14 მარტს აბონ. № 1 [illegible] წარმ. — წარმოდგენა № 107 **ურიელ აკოსტა**

15 მარტს აბო № 6 [illegible] 6 წარმ. — წარმოდგენა № 108 **ხინოშვილის გურია**

17 მარტს აბონ. გარეშე — წარმოდგენა № 109 **ვერაგობა და სიყვარული**

აბონენტები თავიანთ სავალდებულო მეექვს გადასახადს.

სალარო ღიაა 11 2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30.

დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11

ტემპი 6-30, 8, 9-30, 11

რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11

„26"-ის კომ. სახ. [illegible]-30, [illegible]-30, 10-30

დადგმის მე 6 კვირა **მხიარული ახალგაზრდობა**

უკანასკნელი დღე **მცდარ კვალზე.** 1 სერია.

მხ. ფილმი **მეშჩანსკის მესამე ქუჩა** (სამთა სიყვარული) 6 ნაწილად [illegible]

ხმოვანი ფილმი **ნასტინკა უხტი ოვა** დღისით — [illegible]

ხმოვანი ფილმი **მარიონ ბლიაკის [illegible]**

თმის მკ რნ ლობ და სამკურნალო **კოსმეტიკა**

ექიმ ნ. ა. **კანტოროვიჩისა**

დაბრუნდა მოსკოვიდან და ლენინგრადიდან და განახლა მიღება 12-დან 3-მდე და საღამოს 6 და 8 საათამდე. ძერჟინსკის ქ. № 9. მკურნალობა: თმის [illegible] [illegible] და სხვა ეფექტები.

3—2 6748

დაკარგულია თამარ [illegible] ასულ [illegible]შვილის პასპორტი № 153405. ჩ. გ. 7114

დეიდა ელენე ქმარშვილით: სტეფანე და ნელი ჩილინგარაშვილები, ბებია როზა ფრანჩუკისა იუწყებიან

ეკატერინე (კატია) ფრანცის ასულ ზენტიკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მარტს ორჯონიკიძის ჩიხი № 4.

ცოლი ნინა, შვილები: ალექსანდრე, მარო, გიორგი, რძალი დოდიკა და სიძე აპოლონ მშვიდობაძე იუწყებიან

ლევან ოსების-ძე ვარდიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მარტს 4 საათზე ვერის სასაფლაოზე გასვენება ვარდისუბნის ქ. № 4.

••• „ტეჟეს" •••

ამიერ-კავკასიის სამხარეო კანტორა

იუწყება, რომ ტრესტ

„ტეჟეს" ხელსაბან საპონზე

ფასები დაკლებულია

40 პროცენტით.

ამ-კავ. რკ. გზების სამმართველო აცხადებს

ა.-კ. რკინისგზის სამმართველო ყველა იმ თანამშრომლის საყურადღებოდ, რომლებიც 1929—34 წლებში [illegible] **[illegible]**, რომ მიღებული ობლიგაციების [illegible] წარმოებს სამმართველოს ადმ. ორგ. განყოფილების საფინანსო ჯგუფში (ოთახი № 269) ყოველდღიურად საღამოს 3 საათამდე 1935 წლ. 1 მაისამდე [illegible] წერილობითი სახით უნდა გაიგზავნოს მისამართით: ტფილისი, ა.-კ. რკინისგზების სამმართველო—ადმ. ორგ. განყოფილება. საფინანსო ჯგუფი.

ძმები: კოლია, სიმონი, კირილე ცოლშვილით და ელენა, სიძე კალენიკე თამრიკოთი რობაქიძეები, დეიდა მატრონა, ბიძა ლევანი გოლაშვილები იუწყებიან ძმის და დისწულის

კოსტა გერასიმეს-ძე ბრიგოლიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 მარტს.

მახლობელი ამხანაგები: ა. ნადირაძე, ა. დუმბაძე, ა. ჯაფარიძე, ი. როსტომაშვილი, გ. ქუმსიშვილი, ი. მხეიძე, ე. ბარამიძე, გ. ბარამიძე, ი. ბიბინეიშვილი და ი. დიმოევი იუწყებიან არისტო ჭუმბაძის მამის

მაქსიმე ჭუმბაძის

გარდაცვალებას.

ცოლი მელიკო, შვილები: ჟორჟიკა და მაშო, რძალი ოლია, შვილიშვილი შოშია, სიძე სამსონ დოლიძე შვილებით, შვილიშვილი სევია ქმრით ვ. სიხარულიძე იუწყებიან

ალექსი კაციას-ძე ბარამიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 მარტს.

მეგობრები: ვენერა ჰაჰიაშვილი, ნინო ქურხული, ელიკო ოტიაშვილი, ლიზა შუვალოვა, ზინობი შათირიშვილი, სერგო აკოპჯანოვი, კოლია ციციშვილი იუწყებიან ინჟინერ შურა ვარდიაშვილის მამის

ლევან ვარდიაშვილის

გარდაცვალებას.

და ნინა, სიძე აკაკი შვილებით: ლამარა, თამილა, ზინა, ამალია და კუკური მეგრელიშვილები იუწყებიან დის და დეიდის

[illegible] ჯიბლაძე მეგრელიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 მარტს.

მშობლები: ლევანტი, მანო, ძმა გიორგი, დები: ქეთო, მინორა, თამარა, სიძეები: ესე დოლიძე, გერონტი ქურიძე იუწყებიან, რომ 18 მარტს სასაფლაოზე დღის 2-ს. დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი

მიშა ლევანის-ძე ცინცაძის

ხსოვნის აღსანიშნავად.

საქ. სას. სამ. ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის სტუდენტობა და ფაკულტეტის ორგანიზაციები იუწყებიან ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ამხ. სოსო მურვანიძის მამის

იოსებ ნიკოლოზის-ძე მურვანიძის

გარდაცვალებას.

[illegible], ნინა, ცეცილია და ალექსანდრე წუწუნავები, სიძეები: პროფ. ვრივალ წულუკიძე და ალექსი ბოლქვაძე შვილებით იუწყებიან ბიძის

ტარიელ ალექსანდრეს-ძე თაყაიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მარტს.

მეუღლე სოფიო შვილებით: ალექსანდრე, აკაკი, გიორგი, თამარა ქმარშვილით, ფატი და ლიზა ღლონტები იუწყებიან პირველის მეუღლის და მეორეების მამის

ანდრია ღლონტის

გარდაცვალებას.

შვილები მაქსიმე, ვალიკო თავის მეუღლეებით თამარით, ნინათი, ეენიო და ბიჭკო აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს მათი საყვარელი მამის

ზაქრო (ზაქარია) მაქსიმეს-ძე ბაბაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 7 საათზე კომუნალური ქ. № 55. გასვენება შაბათს 16 მარტს 4½ საათზე კუკიის სასაფლაოზე

მომავალ გამოცდ. [illegible] ჩენილ 8 [illegible] და ვამზადებ

მათემატიკაში და რუსულში [illegible]

3 და 4 თვეს

არითმეტიკას საბუღალტრო

კურსებისათვის

მოანგარიშის და მოლარის თანამდებობისათ.

კლებანოვის ქ 25 [illegible] 5 [illegible] 8 12 ს. 7—9 ს.

7334 2—1

ექიმი

ს. ჰ. მესხელიძე [illegible]

თვალის სნეულებანი

ავადმყოფების იღებს 5—7 საათამდე. კორღანოვის ქ. № 6

სახ. კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდიის დირექცია პედაგოგთა შემადგენლობა და სტუდიელნი აუწყებენ საზოგადოებას

სახ. არტისტი—დირიჟორის ივანე პეტრეს-ძე ფალიაშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავს.

შვილები: თამარა ნიკოლოზაშვილი, მარი. [illegible]ძისა დები: ტასო, მართა, ნინა დარია, ფეფე, ძმები: სანდრო, გიორგი იუწყებიან

ოლღა გიორგის ასულ მარდალეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე არდონის ქ. № 11.

და ოლია, სიძე ზინო კალანდარიშვილი დედით მაიათი, შვილებით ჟორა და დათიკოთი იუწყებიან

კირილე დავითის-ძე აბრამიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. ყორღანოვის ქ. № 11

აბრამიები: კონსტანტინე ცოლ-შვილით, ბესარიონ შვილებით, ირაკლი, კესარია, ოლია კალანდარიშვილი ქმარშვილით, და ივლიტა მატახერია შვილით იუწყებიან ძმის

კირილე დავითის-ძე აბრამიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

მშობლები: ფუდუ და ნევრონი, ძმა გრიშა, რძალი ვარიჩკა, ძმისშვილი ლიალიჩკა და მამიდა მარინე იუწყებიან

ქეთო ტუსკიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 მარტს.

დები: ქსენია და თამარა, სიძეები კოლია ნიკოლაიშვილი და მიშა დოლაბერიძე, დისშვილი რუსიკო და ახლო ნათესავები ქეთო და ქრისტიფორე ანდღულაძეები იუწყებიან

ქეთო ტუსკიას

უდროოდ დაკარგვას.

ა.-კ. ამხ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტ. ჯგუფი № 111 სტუდენტები იუწყებიან, ამავე კურსის სტუდენტს თამარა ნიკოლოზაშვილის დედის

ოლია მარდალეიშვილის

გარდაცვალებას.

შვილები: ვასო, გერონტი, ალიოშა, გრიშა, შოთა, ლადიკო, მარიამი, ნელი, რძლები: ნინა, თამარი, სიძეები: ნოე თოიძე, გოგი კონტრიძე, შვილებით იუწყებიან

ტარიელ ალექსანდრეს-ძე თაყაიშვილის

გარდაცვალებას: დასაფლავება 14 მარტს.

მეუღლე ელენა, შვილები: საშა, ლოლა, მარუსია, რძლები კლავდია, ტერეზია, შვილებით, ძმა მოსე, სიძე დათიკო შვილებით იუწყებიან

სიმონ ამბაკოს-ძე თავბერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 მარტს 5 საათზე. სტავროპოლის ქ. № 3.

უახლოესი ამხანაგები: ალ. ჩიქოვანი, მიხ. ჩიქოვანი, მიხ. ჩხენკელი, გრ. ესებუა, ვ. ძგალობლიშვილი, ვ. ხავთასი, გრ. სვანიძე, აკ. იმნაძე და ლ. წერეთელი იუწყებიან ამხ. ალექსანდრე ღლონტის მამის

ანდრია ღლონტის

გარდაცვალებას.

მისამართები. რედაქციის რუსთაველის პროსპ. № 16. გამ.-მცემლობის რუსთაველის პროსპ. № 24 ტელეფონები რედაქტორის 3-42-26, რედაქტორის მოადგილის 3-62-06, პასუხისმგებელი მდივნის 3-06-38, სახოფრივ განყოფილების 3-72-24, პარტმშენებლობის განყოფილების 3-57-61. სამრეწველო განყოფილების 3-73-40. სტამბის 3-27-04. გამომცემლობის—3-51-61. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კომის ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ა 9415